



კულტურა და საზოგადოება

1. კულტურის არსი
2. კულტურა, სოციალიზაცია და კონტროლი
3. კულტურის უნივერსალური ელემენტები
4. ეთნოცენტრიზმი და კულტურული რელატივიზმი
5. ჯგუფური იდენტურობა და კულტურა
6. კულტურის შემადგენელი ნაწილები (ძირითადი ელემენტები)
7. კულტურა, ენა და იდეოლოგია
8. კულტურული კონფლიქტი
9. კულტურული ფორმების ნაირსახეობა: მასობრივი კულტურა, სუბკულტურა და კონტრკულტურა.
10. ამერიკული და ქართული კულტურის ტრადიციული ღირებულებები

საკვანძო სიტყვები: კულტურა, სოციალიზაცია, სუბკულტურა, კონტრკულტურა, კულტურული კონფლიქტი, ეთნოცენტრიზმი, კულტურული რელატივიზმი, ანომია, დეზორგანიზაცია, კულტურული უნივერსალები, ღირებულება, ნორმა, სანქცია, მასობრივი კულტურა.

„ბანძია“, - ამბობენ ისინი. „აუ რა ბანძია“, ან „ლაბუდა“, ან „გულისამრევი“ „ესენი“ თინეიჯერები გოგონები არიან, ლოს-ანჯელესის გარეუბანი, სან-ფერნანდო ველიდან. მათ „ველსს“ ემახიან. თეთრები არიან, საშუალო კლასებიდან, მათ საუბარში მრავლადაა სიტყვები „გადასარევი“, „მაგარი“.

1982 წელს ამერიკელ ახალგაზრდობაში დაიწყო „ველსს“-თან დაკავშირებული აჟიოტაჟი, მთელი ქვეყნის რადიოგადაცემებში ისმოდა „ორთოდონტთან წასასვლელი გოგონას სიმღერა“ (ორთოდონტი

- სტომატოლოგია, რომელიც კბილებს ასწორებს). ვითარებამ ხელი შეუწყო როკ-მომღერლის ფრენკ ზეპის პოპულარობას და თან მოყვა შესაბამისი სარეკლამო აფიშები, პლაჟის პირსახოცების, მაისურების, ბამპერებზე დასაწებებელი სურათების რეკლამები. სიმღერა ველსელი გოგონას შესახებ კალიფორნიის ქალაქების გარეუბნების ცხოვრების



პაროდირება იყო. „ველს“ – ეს არის „თავქარიანი, მაგრამ უწყინარი ყმაწვილი მომხმარებლები, მათი მუდმივი ამოცანაა – ხარისხიანი პედიკური, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია „ფეხის კრემი“ (Newsweek 1982, Aug 2).

სიმღერა ველსელი გოგონას შესახებ არის სახუმარო პაროდია, მაგრამ კარგად გვიხსნის თუ რა არის კულტურა, მოცემულ შემთხვევაში სუბკულტურა. „ველს“ ემხრობა გარკვეულ ღირებულებებს, შეხედულებები სუპერმატერიალურია: არ უნდა ჩამორჩე მოდის უკანასკნელ კვილს; ახალგაზრდობა ჯობს სიბერეს და ა.შ. „ველსის“ სტილის დიდი პოპულარობა ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ის ნათლად წარმოაჩენს ამერიკელთა უმრავლესობის ინტერესებს: მატერიალიზმი, კონფორმიზმი, ახალგაზრდობის იდეალიზაცია. „ველს“ არის ამ ღირებულებებით გაპირობებული გარკვეული მსოფლმხედველობა, მათ იციან, რა არის „ბანძი“ და რა არის მოდის უკანასკნელი კვილი. ისინი თავიანთი სუბკულტურისათვის დამახასიათებელ ქცევის წესებს იცავენ; აცვიათ მოდური მინიკაბები, უქუსლო ფეხსაცმელები და თეთრი ფერის ჰალსტუხი-პეპელა. გარდა ამისა, მათ აქვთ ახალსიტყვებიანი („ბანძი“) განსაკუთრებული ჟარგონი და რიგი ახალი მნიშვნელობები (თითქმის ყველა გამოთქმა ერთი და იგივე სიტყვებით იწყება). „ველსის“ სუბკულტურის ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ კულტურის ასეთი განსაზღვრება: კულტურა არის ცხოვრების საერთო წესით შეკრული ადამიანებისათვის საერთო ქცევის წესებისა და სამყაროზე შეხედულებების და ღირებულებათა იერარქიული სკალის ერთიანი სისტემა.

ამ თავში კულტურის შესახებ რიგ საკითხებს ნათელს მოვფენთ. რაში მდგომარეობს მისი არსი? რატომ არის ის ასე მნიშვნელოვანი ადამიანისათვის, მაშინ როდესაც ცხოველები უიმისოდაც კარგად არიან? როგორ იცვლება ის?

კულტურის არსი

სიტყვა კულტურა ლათინური წარმოშობისაა დაკულტივირებას, ანუ ნიადაგის დამუშავებას ნიშნავს. შუასაუკუნეებში ეს სიტყვა მარცვლეულის წარმოების პროგრესულ მეთოდს აღნიშნავს, ამგვარად ჩნდება სიტყვა აგრიკულტურა, ანუ ნიადაგის დამუშავების კულტურა. მაგრამ, XVIII-XIX საუკუნეებში ამ სიტყვის გამოყენება ადამიანებთან მიმართებაში დაიწყო, ე.ი. თუ ადამიანი ნაკითხი იყო და გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით ის „კულტურულ“ ადამიანად ითვლებოდა. მაშინ ეს ტერმინი ძირითადად არისტოკრატებთან მიმართებაში გამოიყენებოდა, რათა ისინი „არაკულტურული“ უბრალო ადამიანებისაგან გამოეყოთ. გერმანული სიტყვა - კულტურ, ასევე ცივილიზაციის მაღალ დონეს ნიშნავდა. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვა „კულტურა“ ჯერ კიდევ საოპერო თეატრთან, მშვენიერ ლიტერატურასთან, ზრდილობიან აღზრდასთან ასოცირდება.



კულტურის თანამედროვე განსაზღვრებამ ამ ცნების არისტოკრატიული შეფერილობა მოიცილა. ის ადამიანთა რომელიმე ჯგუფისათვის საერთო მრწამსის, შეხედულებების, ღირებულებების და ხელოვნებასა და ლიტერატურაში გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების სიმბოლოა. ის ადამიანთა ამ ჯგუფის ქცევების რეგულირებასა და გამოცდილების მოწესრიგებას ემსახურება. ქვეჯგუფის მრწამსი და შეხედულებები ხშირად სუბკულტურად იწოდება.

კულტურის ათვისებასწავლების საშუალებით ხორციელდება. როგორც მე-4-ე თავში გავიგებთ, ადამიანები უნიკალურებია, რადგან მათი ქცევა ინსტინქტით მხოლოდ ნაწილობრივია გაპირობებული. ჭიანჭველა და სხვა საზოგადოებრივი მწერები საკვების მოპოვებისა და რთული საცხოვრებელი ბუდის აგების გენეტიკური უნარით არიან დაჯილდოებული. ფრინველებს არ სჭირდებათ სწავლება თუ როდის უნდა გაემართონ თბილ ქვეყნებში ან როგორ ააგონ თავიანთთვის ბუდე. ეს ცოდნა მათ გენებშია ჩადებული და „სწორად“ ქცევა ავტომატურად ხორციელდება. თუმცა მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ცხოველთა ქცევაზე გარკვეული დოზით გავლენა აქვს სწავლებას, მაგრამ მათი ქცევის უმეტესი ნაწილი ინსტინქტურია.

ადამიანების ქცევა, პირიქით, ნაკლებადაა პირდაპირი გენეტიკური კონტროლით გაპირობებული. ჩვენ მართლაც გვახასიათებს რეფლექსები – სტიმულებზე ავტომატური პასუხი. მაგალითად, უეცრად რაღაც გვივარდება თვალში, ჩვენ ვახამხამებთ თვალს და მკვეთრად მივბრუნდებით.

ჩვენ გვახასიათებს სწრაფვა – მაგალითად შიმშილისა და წყურვილის შინაგანი ბიოლოგიური მოთხოვნილებები. მათ დასაკმაყოფილებლად ადამიანები და ცხოველები იძულებული არიან რთული ქმედებები შეასრულონ. მაგალითად, შიმშილისათვის უნდა შევარჩიოთ სადილის მომზადების რეცეპტი, ავილოთ ფული. წავიდეთ საყიდლებზე, შევიძინოთ საჭირო პროდუქტი, სადილი მოვამზადოთ გარკვეული რეცეპტით, და ბოლოს, მივირთვათ; აქ იგულისხმება, რომ ჩვენ ვიცით თუ როგორ მოვიქცეთ მაგიდასთან. ასეთი ქცევა შეთვისებულია სწავლებით ან დასწავლით. და რადგან ადამიანებს ახასიათებს დასწავლის სასწაული უნარი, მათ შეიძლება ქცევისა და რეაქციის უამრავი ნაირსახეობა გამოიმუშავონ.

თუ ადამიანის ქცევა გენეტიკური თვალსაზრისით არასრულადაა დაპროგრამებული, მაშინ როგორ ყალიბდება ის? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს კულტურის კონცეფცია გასცემს. კლაიდ კლაკხონი (1967) თვლის, რომ „კულტურის კონცეფცია თვით ადამიანის არსების პლასტიკურობის გამო, ცხოვრებისეული აუცილებლობითაა გამოწვეული. ახლადშობილებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში აჩვენენ ერთი და იგივე ქმედების შესრულებას, თანაც უსასრულო რაოდენობის საშუალებებით.... . ბიოლოგიური პროცესებიც კი, როგორებიცაა



დამცხიკვება, სიარული, ძილი და სქესობრივი აქტი, ყოველთვის ხასიათდება ადამიანური ინდივიდუალობით. თუ ადამიანებს, ყველა მათი განსხვავებებისდა მიუხედავად, შეიძლება ასწავლო ფიქრი, გრძნობა, წამდეს და მოქმედებდეს გარკვეული სახით, დაახლოებით ერთგვარად მთელი ჯგუფისათვის . . .თუ მთელი ჯგუფები და საზოგადოებები გარკვეული საგნების ერთნაირად კეთებას ისწავლიან, ჩვენ შეგვიძლია მათი ქცევების შესახებ გარკვეული განზოგადებები გავაკეთოთ. ასეთი ქცევები, რომელთა თავისებურებები ათვისებულია მთელი ჯგუფის მიერ, რომელიც უფროსი თაობებიდან გადაეცემა შემდეგ თაობას ან რაღაც ზომით სხვა ჯგუფებიდან გადმოიღება ეწოდება „კულტურა.“ მოკლედ რომ ვთქვათ, კულტურა ახდენს ადამიანის ცხოვრების ორგანიზებას. . ადამიანთა ცხოვრებაში კულტურა მნიშვნელოვანწილად იგივე ფუნქციას, რასაც ცხოველთა ყოფაში ასრულებს გენეტიკურად დაპროგრამებული ქცევა ახორციელებს.

კულტურა და სოციალიზაცია.

კლაკხონის მიერ მოცემულ განსაზღვრებაში ხაზგასმულია, რომ კულტურა იქმნება, რომ კულტურა ისწავლება. რამდენადაც შეუძლებელია მისი ბიოლოგიური გზით შეძენა, იმდენად ყოველი თაობა ხელახლა ქმნის მას და შემდეგ თაობას გადასცემს. ეს პროცესი სოციალიზაციის საფუძველია. მრწამსის, ღირებულებების, ნორმების, წესების და იდეალების ათვისების შედეგად ხორციელდება ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება და მისი ქცევების რეგულირება. სოციალიზაციის პროცესის მასობრივი შეწყვეტა კულტურის დაღუპვას გამოიწვევდა.

კულტურა და კონტროლი.

კულტურა საზოგადოების წევრ პიროვნებებს აყალიბებს, ამით გარკვეული დოზით მათ ქცევებს არეგულირებს. კლიფორდ გირტიცი (1973) კულტურას უწოდებს „მარეგულირებელი მექანიზმების სისტემას, სადაც იგულისხმება გეგმები, რეცეპტები, წესები, ინსტრუქციები. . . რომლებითაც იმართება ქცევები“. მას მიაჩნია, რომ კულტურის გარეშე ადამიანები სრულად დეზორიენტირებულები იქნებიან.

„კულტურის მოდელებით განუპირობებელი (სიმბოლოების მნიშვნელოვანი სისტემები) ადამიანების



ქცევა პრაქტიკულად უმართავი გახდებოდა, ის უაზრო სპონტანურ ქცევებს, შეუკავებელ ემოციებს გაუტოლდებოდა, ადამიანს ფაქტობრივად რაიმე გამოცდილება არ დაუფროვდებოდა.

იმის შესახებ თუ რამდენად მნიშვნელოვანია კულტურა ინდივიდისა და საზოგადოების ფუნქციონირებისათვის, შეიძლება სოციალიზაციის გარეთ დარჩენილი ადამიანების ქცევების მიხედვით ვიმსჯელოთ. როგორც მე-4-ე თავში ვნახავთ, ე.წ. „ჯუნგლების შვილებს“, რომლებიც სრულებით მოკლებული არიან ადამიანთა საზოგადოებას, არაკონტროლირებადი, ან ინფანტილური ქცევები მოწმობენ იმის შესახებ, რომ სოციალიზაციის გარეშე ადამიანებს მოწესრიგებული ცხოვრება, ენის ათვისება და არსებობის საშუალებების მიღწევის შესწავლა არ ძალუძთ. „არსებებზე, რომელთაც არავითარი ინტერესი არ გამოავლინეს იმის მიმართ, თუ რა ხდება ირგვლივ,“ რითმულად ქანაობდნენ წინ და უკან, როგორც მხეცები ზოოპარკის გალიებში“ დაკვირვებების შედეგად, XVIII საუკუნის შვედმა ნატურალისტმა კარლ ლინეიმ გააკეთა დასკვნა, რომ ისინი არიან განსაკუთრებული სახეობის წარმომადგენლები. მოახდინა მათი კლასიფიცირება, როგორც HOMO FERUS „გნომების ნაირსახეობა, რომლებსაც ადამიანები იშვიათად ხვდებიან“ (Бенедикт, 1943, გვ.12). მოგვიანებით მეცნიერები მიხვდნენ, რომ ეს ველური ბავშვები ვერ ჩამოყალიბდნენ პიროვნებად, რისთვისაც აუცილებელი იყო ადამიანებთან ურთიერთობა. ეს ურთიერთობა მათი უნარების განვითარებასა და მათ „ადამიანურ“ პიროვნებად ჩამოყალიბებას სტიმულს მისცემდა.

თუ კულტურა არეგულირებს ადამიანის ქცევებს, იქნებ ის რეპრესიულად უნდა ჩავთვალოთ? სწორედ ასე თვლიდა ზიგმუნდ ფროიდი. მან გამოიკვლია კონფლიქტი კულტურასა (ან ცივილიზაციასა) და ადამიანის ნატურის ინსტინქტურ საწყისს შორის. ხშირად კულტურა მართლაც თრგუნავს ადამიანის მისწრაფებებს, განსაკუთრებით სექსუალურსა და აგრესიულს. მაგრამ სავსებით არ გამორიცხავს მათ. ის უფრო განსაზღვრავს პირობებს, როდესაც ისინი კმაყოფილდებიან. სხვა სიტყვებით, ის გამოყოფს დროს, ადგილს და საშუალებებს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, კულტურა არ ცდილობს სექსუალური მისწრაფებების განადგურებას. პირიქით, გარკვეული წესები ადგენენ, ვინ არის შესაბამისი პარტნიორი, სად და როდის შეიძლება სექსი და როგორ უნდა მოიქცე ამ დროს.

მაგრამ, ადამიანის ქცევებზე კულტურის გავლენის მნიშვნელობის გათვალისწინებისას, ჩვენ ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს. კულტურის შესაძლებლობები მართოს ადამიანის ქცევები მრავალი მიზეზითაა შეზღუდული. უპირველეს ყოვლისა ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიური შესაძლებლობები არაა უსაზღვრო. ჩვეულებრივ მოკვდავებს ვერ ასწავლი გადაახტეს მაღალ შენობას, თუნდაც საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევდეს ასეთ ქცევებს. ზუსტად ასევე, ადამიანის გონების შესაძლებლობებიც არ არის უსასრულო.



ზოგიერთი, სოციოლოგიად წოდებული მკვლევარი, მიიჩნევს, რომ ქვეყნის ისეთი რთული მოდელები, როგორებიცაა დიდსულოვნება და ბრძოლისუნარიანობა გენეტიკური მემკვიდრეობაა. მე-4-ე თავში ჩვენ განვიხილავთ ამ შეხედულებებსა და მათ კრიტიკას.

გარემომცველი ფაქტორები ასევე ზღუდავენ კულტურის ზემოქმედებას. მაგალითად, გვალვამ ან ვულკანის ამოფრქვევამ შეიძლება დაარღვიოს მიწათმოქმედების გავრცელებული წესი. გარემოს ფაქტორებმა შეიძლება შეზღუდოს კულტურის ზოგიერთი მოდელის ჩამოყალიბება. ტროპიკული ჯუნგლების ნოტიო კლიმატში მცხოვრები ხალხების ადათწესების მიხედვით არ შეიძლება მიწის ნაკვეთის ექსპლოატაცია დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში, რადგან მოსავალი კლებულობს.

საზოგადოებრივი წესრიგის მდგრადობის შენარჩუნება ასევე ზღუდავს კულტურის გავლენას. საზოგადოების გადარჩენის მოთხოვნილება კარნახობს ისეთი ქცევების გაკიცხვას, როგორებიცაა მკვლელობა, ქურდობა, ცეცხლს მიცემა. ასეთი ქცევების გავრცელება შეუძლებელს გახდის ადამიანთა თანამშრომლობას, რაც საკვების მოსაპოვებლად, სახლების საშენებლად და სხვა მნიშვნელოვანი ქმედებებისათვის აუცილებელია.

კულტურული შერჩევა

კულტურის მეორე განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ კულტურული ღირებულებები ადამიანების გამოცდილებისა და ქცევის გარკვეული სახეობების შერჩევის საფუძველზე ყალიბდებიან. რუთ ბენედიქტი (1934) ენის ანალოგიაზე დაყრდნობით ასეთ აზრს ჩამოაყალიბებს: „ხმების რაოდენობა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვცეთ პირის ღრუსა და ცხვირის ნესტოების საშუალებით, პრაქტიკულად უსასრულოა. . . მაგრამ ყოველმა ენამ თავად უნდა შეარჩიოს და დაიცვას არჩევანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრება გახდეს აბსოლუტურად გაუგებარი“.

იგივე შეიძლება ითქვას სოციალური ინსტიტუტების შესახებ. „ყოველმა საზოგადოებამ თავად განახორციელა კულტურული ფორმების შერჩევა. ყოველი საზოგადოება, მეორის თვალსაზრისით უგულვებელყოფს მთავარს და მეორეხარისხოვანი საქმეებით არის გართული. მატერიალური ღირებულებები ერთ საზოგადოებაში ოდნავაა შესამჩნევი, მეორეში ისინი ადამიანების ქცევებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ. ერთ საზოგადოებაში ტექნოლოგიებს აგდებულად უყურებენ, იმ სახეებსაც კი, რომლებიც გადარჩენისათვის ფასდაუდებელია; მეორე ანალოგიურ საზოგადოებაში კი მუდმივად მიმდინარეობს ტექნოლოგიების დახვეწა დროის მოთხოვნების შესაბამისად. მაგრამ ყოველი



საზოგადოება აგებს უზარმაზარ კულტურულ ზედნაშენს, რომელიც ადამიანის მთელ ცხოვრებას – სიყმაწვილესაც და სიბერესაც და მის შემდეგ ხსოვნასაც - მოიცავს”.

ასეთი შერჩევის შედეგად წარსულისა და თანამედროვეობის კულტურები არსებითად განსხვავდებიან. ზოგიერთ საზოგადოებებში ომი ადამიანის ყველაზე კეთილშობილურ საქმიანობად ითვლება. სხვაგან მას ვერ იტანენ, მესამეში კი მასზე საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა. ერთი კულტურის ნორმების შესაბამისად ქალს შეუძლია ცოლად გაყვეს ნათესავს, მაგალითად ბიძას დედის მხრიდან. სხვა კულტურის ნორმები ამას სასტიკად კრძალავენ. ჩვენს კულტურაში ჰალუცინაციები ფსიქიკური დაავადების სიმპტომებად ითვლება. სხვა საზოგადოებაში, როგორც „მისტიკური ხედვა“, როგორც ჭვრეტის უმაღლესი ფორმა ფასდება. მოკლედ, კულტურებს შორის დიდ განსხვავებებს აქვს ადგილი (Бенедикт, 1934).

კულტურის უნივერსალური ელემენტები.

ორი ან მეტ კულტურასთან ზედაპირული შეხებაც კი გვარწმუნებს, რომ მათ შორის განსხვავებები ურიცხვია. ჩვენ და ისინი გზის სხვადასხვა მხარეზე ვმგზავრობთ, ისინი სხვა ენაზე ლაპარაკობენ. ჩვენი აზრები განსხვავდებიან იმის შესახებ თუ რომელი ქცევაა გიჟური და რომელი ნორმალური, ჩვენ განსხვავებულად გვესმის სიკეთის ცნება. მნიშვნელოვნად ძნელია ყველა კულტურებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების – კულტურული უნივერსალების – განსაზღვრა.

ჯორჯ მერდოკმა (1965) 60-ზე მეტი კულტურული უნივერსალია გამოყო. მათ შორისაა – სპორტი,

სხეულის მორთვა - შეკაზმვა, თანამშრომლობა, ცეკვები, განათლება, სამელოვიარო რიტუალები,

ჩუქება, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღრევის აკრძალვა, ხუმრობა, ენა, რელიგიური წესები, სექსუალური შეზღუდვები, შრომის იარაღის კეთება, ამინდზე გავლენის მცდელობა.

მაგრამ სხვადასხვა კულტურას შეიძლება სპორტის სხვადასხვა სახეობა, სხვა სამკაულები და ა.შ. ახასიათებდეს. გარემომცველი სინამდვილე ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ამ განსხვავებას განსაზღვრავს. მაგალითად, ტროპიკების მცხოვრებთა ადათ – წესებს განსაზღვრავს კლიმატი, რომლისთვისაც, უფრო ზომიერ კლიმატთან შედარებით, უმნიშვნელო სეზონური ცვალებადობაა

დამახასიათებელი. გარდა ამისა, ყველა კულტურული თავისებურებები ამ საზოგადოების ისტორიითაა გაპირობებული და მოვლენათა უნიკალური განვითარების შედეგად



ყალიბდება. განსხვავებული კულტურის საფუძველზე სპორტის სხვადასხვა სახეობები, ენა, სისხლითნათესაურ ქორწინებებზე აკრძალვები შეიქმნა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამა თუ იმ ფორმით მათ ადგილი ყველა კულტურაში აქვთ.

რატომ არსებობენ კულტურული უნივერსალები? ზოგიერთ ანთროპოლოგს მიაჩნია, რომ ისინი ბიოლოგიური ფაქტორების საფუძველზე ყალიბდებიან. კლაკჰონის აზრით მათ განეკუთვნებათ: ორი სქესის არსებობა; ახალშობილთა უმწეობა; საკვების, სითბოსა და სექსის მოთხოვნილება; ასაკობრივი განსხვავება ადამიანებს შორის; სხვადასხვა ჩვევების შექმნის უნარი. აქ თავს იჩენს რიგი პრობლემები, რომლებიც მოცემული კულტურის საფუძველზე უნდა გადაიჭრას. კლაკჰონის შეხედულების თანახმად, აზროვნების წესი და გარკვეული ღირებულებები ასევე წარმოადგენენ უნივერსალებს. ყველა საზოგადოებაში აკრძალულია მკვლელობა და იძრახება სიცრუე, არსად არ არის გამართლებული ტანჯვა. კლაკჰონისა და მერდოკის თვალსაზრისები ერთმანეთს ემთხვევა - მათი აზრით ყველა კულტურა გარკვეული ფიზიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების ხელს უნდა უწყობდეს, თუმც კონკრეტულად განსხვავებული ვარიანტები გამორიცხული არაა.

ამ შეხედულებებს კრიტიკა არ აკლია. ჯ. კლარკი (1970) ბაზისური მოთხოვნილებების კონცეფციას უარყოფს. საკვები, სექსი და სითბო ყველას უნდა. მაგრამ ადამიანები ამას არა მხოლოდ ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აკეთებენ. ადამიანს შეუძლია სტუმრები მოიწვიოს იმისათვის, რომ წაიტრაბახოს საკუთარი სახლის მორთულობით, უფროსის კეთილი განწყობა დაიმსახუროს ან სხვა უფრო სერიოზული მიზეზების გამო. ე.წ. საბაზისო - ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან სოციალური - მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გავლენა კულტურულ ღირებულებებსა და ნორმებს აქვს, რომელთაც ამ მოთხოვნილობებთან არაფერი საერთო არა აქვთ. მაშასადამე, თვლის კლარკი, ბაზისურ მოთხოვნილობებს არ შესწევთ ძალა კულტურის სპეციფიკური ასპექტები განაპირობონ.

ეთნოცენტრიზმი და კულტურული რელატივიზმი

ამერიკელები ისე აღიქვამენ არადასავლური კულტურების აღწერას, თითქოს ეს სათავგადასავლო წიგნებიდან (Мердок, 1965) ან „განკითხვის დღის“ მსგავსი ფილმებიდან იყოს აღებული. ცხვირში რგოლ გაყრილი ადამიანი, ათი ცოლის პატრონი მამაკაცი, ადამიანის, ქვეწარმავლების ან ლომის გულისაგან დამზადებული კერძები, ჩვენთვის „ველურების“ არაადამიანურ ჩვევებს წარმოადგენს. ჩვენ მხოლოდ ცხოვრების დასავლური წესი მიგვაჩნია „სწორ“ წესად, ხოლო არადასავლური – ბარბაროსული და საკვირველია.



საკუთარი კულტურის აღმატებულობის პოზიციებიდან სხვების კულტურის შეფასების ტენდენციას ეთნოცენტრიზმი ეწოდება. ეთნოცენტრიზმის პრინციპები ნათლად გამოიხატება მისიონერების მოღვაწეობაში, რომლების „ბარბაროსების“ თავიანთ რჯულზე გადმოყვანას ცდილობენ. ეთნოცენტრიზმი დაკავშირებულია ქსენოფობიასთან – ეს არის შიში და სიძულვილი სხვისი ჩვევებისა და შეხედულებების მიმართ.

ეთნოცენტრიზმი პირველი ანთროპოლოგების მოღვაწეობაში შეიმჩნევა. ისინი ყველა კულტურას ადარებდნენ თავიანთს, რომელიც, ცხადია, ყველაზე მოწინავედ მიაჩნდათ. ამერიკელი სოციოლოგი უილიამ გრემ სამნერი ამის შესახებ 1906 წელს გამოცემულ წიგნში – „ხალხური ადათები“ წერს. მისი აზრით კულტურა შეიძლება მისი საკუთარი ღირებულებების ანალიზის საფუძველზე და მის საკუთარ კონტექსტში იქნას გაგებული. ამ თვალსაზრისს კულტურული რელატივიზმი ეწოდება. – სამნერის წიგნის მკითხველები გაოგნებული დარჩნენ, როდესაც წაიკითხეს, რომ კაციჭამიობასა და ბავშვების მოკვდინებას აზრი ქონდა იმ საზოგადოებაში, სადაც ამის პრაქტიკა იყო (Мердок, 1965).

ამერიკელმა ანთროპოლოგმა რუთ ბენედიქტმა (1934) ეს კონცეფცია შემდეგნაირად სრულყო: ყოველი კულტურა შეიძლება მხოლოდ საკუთარ კონტექსტში იქნას გაგებული და ის როგორც ერთიანი და მთლიანი უნდა განიხილებოდეს. არც ერთი ღირებულება, რიტუალი ან მოცემული კულტურის სხვა თავისებურება არ იქნება სრულყოფილად გაგებული, თუ მას ცალკე განვიხილავთ. მაგალითად, იმისათვის, რომ გავიგოთ 4 ივლისის მნიშვნელობა აშშ, მკვლევარმა ამ დღესასწაულს – დამოუკიდებლობის დღესა და მთელს ამერიკულ კულტურას შორის ურთიერთკავშირი უნდა დაინახოს.

კულტურული რელატივიზმი მონათესავე კულტურებს შორის უმნიშვნელო განსხვავებების გაგებას ხელს უწყობს. მაგალითად, გერმანიაში დაწესებულებებში კარები ყოველთვის მჭიდროდ არის დაკეტილი რათა ადამიანები განცალკევებულნი იყვნენ. გერმანელებს მიაჩნიათ, რომ მოსამსახურენი ერთმანეთს ხელს შეუშლიან. აშშ პირიქითაა, კაბინეტის კარები ყოველთვის ღიაა. ამერიკელები, რომლებიც გერმანიაში მუშაობდნენ, ხშირად ჩიოდნენ, რომ დახურული კარები მათში თანამშრომელთა მხრიდან უპატივცემულობისა და გაუცხოების შეგრძნებას იწვევდა. დახურულ კარს ამერიკელისა და გერმანელისათვის განსხვავებული მნიშვნელობა აქვს (Холл, 1966).

ჯგუფური იდენტურობა და კულტურა.

კულტურა - ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების შენობის ცემენტი. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალიზაციისა და სხვა კულტურებთან კონტაქტის პროცესში ის ერთი ადამიანიდან მეორეს გადაეცემა, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანებში რომელიმე



ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნებას აღვიძებს. როგორც ეტყობა, ერთი კულტურული ჯგუფის წევრები უფრო ადვილად უგებენ, ენდობიან და თანაუგრძნობენ ერთმანეთს, ვიდრე სხვა ჯგუფის წევრებს. მათი საერთო გრძნობები სლენგსა და ჟარგონებში, საყვარელ კერძებში, მოდასა და კულტურის სხვა ასპექტებშია ასახული.

კულტურა არა მხოლოდ ამტკიცებს ადამიანებს შორის სოლიდარობას, არამედ ადამიანებს შორის და ჯგუფის შიგნით კონფლიქტების მიზეზიცაა. ეს ადვილად შეიმჩნევა ენის – კულტურის მთავარი ელემენტის მაგალითზე. ერთი მხრივ, ურთიერთობის შესაძლებლობა ხელს უწყობს სოციალური ჯგუფის წევრების ერთობის სიმტკიცეს. ენის ერთობა აერთიანებს ადამიანებს. მეორე მხრივ, საერთო ენა გამოყოფს იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ენაზე არ საუბრობენ, ან საუბრობენ ცოტა სხვაგვარად. დიდ

ბრიტანეთში სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების წარმომადგენლები ინგლისური ენის რამდენადმე განსხვავებულ ფორმებს იყენებენ. თუმცა ყველა „ინგლისურ ენას ფლობს“, ზოგიერთი ჯგუფები

„უფრო სწორ“ ინგლისურს იყენებენ, ვიდრე სხვები (Лих,1975). ამერიკაში არსებითად ინგლისური ენის ნაირსახეობების 1001 ვარიანტია გამოყენებული. გარდა ამისა, სოციალური ჯგუფები ერთმანეთისაგან თავისებური ჟესტებით, ტანსაცმლის სტილითა და კულტურული ფასეულობებით განსხვავდებიან. ყველივე ეს შეიძლება ჯგუფებს შორის კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

კულტურის შემადგენელი ნაწილები

ძირითადი ელემენტები.

ანთროპოლოგ უორდ გუდენაუს აზრით კულტურა ოთხი ნაწილისაგან შედგება.

1. ცნებები (კონცეპტები). ძირითადად ისინი ენაში არიან მოქცეულნი. მათი წყალობით ხერხდება ადამიანების გამოცდილების მოწესრიგება. მაგალითად, ჩვენ აღვიქვამთ გარემომცველი სამყაროს საგნების ფორმას, ფერს და გემოს, მაგრამ განსხვავებულ კულტურებში გარესამყარო განსხვავებულადაა ორგანიზებული. გერმანულ ენაში სიტყვა essen ნიშნავს საკვების მიღებას ადამიანების მიერ, ხოლო სიტყვა fressen იგივეს, მხოლოდ ცხოველების მიერ, მაშინ როდესაც ინგლისურ ენაში ერთი და მეორეც აღინიშნება ერთი სიტყვით eat. (ჩვენ შევძლებთ ამ განსხვავებების გამოხატვას ინგლისურ ენაში თუ ვინმეზე ვიტყვით, რომ ის: „ჭამს როგორც ღორი“). უელსურ ენაში არის სიტყვა glas, რაც ნიშნავს ყველა ფერს, რომლებსაც ინგლისურში, როგორც წითელს, მწვანეს და რუხს განვსაზღვრავთ.



ტრობრიანდული კუნძულების (ახალი გვინეის აღმოსავლეთით) მკვიდრთა ენაზე ერთი სიტყვა აღნიშნავს ექვს განსხვავებულ ნათესავს: მამა, მამის ძმა, მამის დის ვაჟიშვილი, მამის დეიდას ვაჟიშვილს, მამის დის ქალიშვილის ვაჟიშვილს, ბაბუის დის შვილის ვაჟიშვილს. ინგლისურ ენაში არც კი არის ბოლო ოთხი ნათესავის აღმნიშვნელი სიტყვა. (Надсон, 1980).

ორ ენას შორის აღნიშნული განსხვავება იმით აიხსნება, რომ ტრობრიანდული კუნძულების მცხოვრებთათვის აუცილებელია სიტყვა, რომელიც განსაკუთრებით პატივსაცემ ყველა ნათესავს მოიცავს. ინგლისურ და ამერიკულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ნათესაური კავშირების ნაკლებად რთული სისტემა, ამიტომ მათ არა აქვთ ისეთი სიტყვის აუცილებლობა, რომელიცისეთ შორეულ ნათესავს აღნიშნავს, როგორცაა „მამის მხრივ ბაბუის დის შვილის ვაჟიშვილი“.

ამგვარად, ენის სიტყვების შესწავლა ადამიანს საკუთარი გამოცდილების შერჩევისა და ორგანიზაციის საშუალებით გარემომცველ სამყაროში ორიენტირებაში ეხმარება.

2. მიმართება. კულტურები არა მხოლოდ განსხვავებენ ქვეყნის ნაწილებს ცნებების საშუალებით, არამედ მათი მნიშვნელობის მიხედვით (მაგალითად, თეთრი შავის საპირისპიროა), მიზეზობრივი გაპირობებულობის საფუძველზე („წკნელს დაინანებ – ბავშვს გააფუჭებ“) დროსა და სივრცეში მათ ერთმანეთთან კავშირს ავლენენ. ჩვენს ენაში არის მზისა და დედამიწის განმსაზღვრელი სიტყვები, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. მაგრამ კოპერნიკამდე სხვაგვარად ეგონათ. ხშირად კულტურებს განსხვავებულად ესმით ამგვარი ურთიერთკავშირები. აი როგორ მსჯელობს მიკრონეზიის მკვიდრი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მზე ბრუნავს დედამიწის ირგვლივ: „მე

კარგად ვიცი, რომ უცხოელებს ისე გონიათ თითქოს მზე ადგილზე დგას, ხოლო დედამიწა მოძრაობს. ერთხელ ამას ვიღაც ჩვენც გვეუბნებოდა. მაგრამ ჩვენ ვერ დავიჯერებთ: რატომაა რომ დილასა და საღამოს მზე ისე ცხელი არაა, როგორც დღისით? იმიტომ, რომ მზე დილით წყლიდან ამოდის გაგრილებული, საღამოს კი კვლავ წყალს უახლოვდება. თანაც განა მზე დგას ერთ ადგილზე, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ წლის განმავლობაში როგორ იცვლება მისი მიმართება ვარსკვლავებთან“? (ეს სიტყვები გუდენაუმ გაიხსენა 1981წელს; ისინი ჩაწერილია 1913 წელს).

ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ მიკრონეზიის მკვიდრს, მაგრამ მისთვის ცნობილი მიზეზ -

შედეგობრივი კავშირების კონტექსტში მისი მსჯელობა დამაჯერებლად გამოიყურება.



ყოველ კულტურაში, რეალურ სამყაროსა და ზებუნებრივ სფეროზე ცნებებს შორის ურთიერთობაზე გარკვეული წარმოდგენები ყალიბდება. მაგალითად, ქრისტიანული კოსმოლოგიის თანახმად სამყარო ღმერთმა შექმნა, და ღმერთის ადამიანებთან მიმართების შესახებ საკმაო პოსტულატები არსებობს.

3. ღირებულებები. ღირებულებები - ეს არის ზოგადმიღებული შეხედულებები იმ მიზნების მიმართ, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი. ისინი არიან ზნეობრივი პრინციპების საფუძველი. მაგალითად, ქრისტიანულ მორალში, ათი მცნება, ყველა სხვა მოთხოვნებთან ერთად ადამიანისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას („არა კაც ჰკლა“), მეუღლეთა ერთგულებას („არ იმრუშო“), და მშობლების პატივისცემას („პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა“) გულისხმობს.

განსხვავებული კულტურები უპირატესობებს სხვადასხვა ღირებულებებს (გმირობას ბრძოლის ველზე, მხატვრულ შემოქმედებას, ასკეტიზმს) ანიჭებენ და ყოველი საზოგადოებრივი წყობა ადგენს თუ რა არის ღირებული და რა არა.

4. წესები. ეს ელემენტები (მათ შორის ნორმებიც) გარკვეული კულტურის ღირებულებების ჩარჩოებში და მათ შესაბამისად ადამიანების ქცევებს არეგულირებენ. მაგალითად, ჩვენი საკანონმდებლო სისტემა მრავალ კანონს შეიცავს, რომლებიც კრძალავენ ადამიანების მკვლელობას, დაჭრას, მუქარას. ამ კანონებში აისახება თუ რამდენად ვაფასებთ ჩვენ ადამიანის სიცოცხლეს და მათ კეთილდღეობას. ზუსტად ასევე, ჩვენ გვაქვს უამრავი კანონი, რომლებიც კრძალავენ ქურდობას, სხვისი ქონების ხელყოფას და ა.შ. ამ კანონებში ჩანს თუ როგორ მივისწრაფვით საკუთრების დაცვისაკენ.

გუდენაუ ყველა ამ ელემენტებს ასეთნაირად აერთიანებს: კულტურა შეიცავს ნიმუშებს, რომლებიც გვჩვენებენ გავიგოთ თუ რა არსებობს (წარმოდგენები და ცნებები გარესამყაროზე), რა შეიძლება არსებობდეს (ურთიერთკავშირები), რა მიმართებაში ვიყოთ იმასთან რაც არსებობს და რაც შეიძლება იყოს (ღირებულებები), როგორ მოვექცეთ რამეს და როგორ გავაკეთოთ ეს (ნორმები)".(1981,გვ.62).

კულტურის მოყვანილი ელემენტები კავშირშია ერთმანეთთან.

ჩვენ შეგვიძლია ამ ურთიერთკავშირების თავისებურებები გავიგოთ ერთი თვითმყოფადი კულტურის მაგალითზე. ანომამეს ტომის ინდიელებს (ეს არის სამხრეთ ვენესუელა და ჩრდილოეთ ბრაზილია) საკუთარ თავზე, გარემომცველ ჯუნგლებსა და თუ საიდან გაჩნდა ყოველივე ეს შეხედულებების რთული სისტემა ჩამოუყალიბდათ. ერთი მითის თანახმად, მთვარის სული ხშირად ეშვებოდა



დედამიწაზე და ბავშვების სულებითა და მანიოკისაგან დამზადებული პურით იკვებებოდა. ერთხელაც ადამიანი გაბრაზდა ამაზე დამის თავზე მფრინავ სულს ესროლა. ზამბუკისთავიანი ისარი სულს მუცელში მოხვდა. სისხლის წვეთები დაეცა მიწაზე და ადამიანებად გადაიქცა. ამიტომ ანომამეს ტომის ბევრ თანამედროვე წევრს სჯერა რომ მთვარის სულის სისხლისაგან გაჩნდა (Шагнон, 1968).

ანომამეს კულტურის ღირებულებებს შორის არის რწმენა, რომ მეომარი და მკაცრი მამაკაცი უნდა იყოს. მან ეს თვისებები სხვადასხვა მიზეზებით მომხდარ შერკინებებში უნდა გამოავლინოს. თუ მამაკაცს დააბრალებენ სიხარბესა და მშიშრობას, მოსალოდნელია, რომ შეურაცხყოფელს ის შეტაკებაში გამოიწვევს, აქ ისინი რიგრიგობით ურტყამენ ერთმანეთს მკერდში. ქალის ან საკვების ქურდობაზე იწყება ბრძოლა კეტებით, მამაკაცთა ერთი ჯგუფი მეორეს ეომება გრძელი კეტებით. თუ ბრძოლა გამწვავდა კეტები გადაიქცევიან შუბებად. ადვილია, რომ ამას მოყვეს ნამდვილი ომი. როდესაც ამ ტომის მამაკაცს აბრალებენ მომეტებულ სიმკაცრეს, ის თავს იმით იმართლებს, რომ წარმოშობით მთვარის სულის სისხლისაგან არის. ამგვარად, მათი შეხედულებები გარესამყაროზე ანომამეს კულტურის ძირითად ღირებულებებს გვიხსნის.

ღირებულებები არა მხოლოდ თავად საჭიროებენ დაფუძნებას, არამედ, თავის მხრივ თავადვე გამოდგებიან დამფუძნებლად. ისინი აფუძნებენ ნორმებს ან მოლოდინსა და სტანდარტებს, რომლებიც ადამიანებს შორის ურთიერთობებში რეალიზებული იქნება. ანომამეს ტომში სიმკაცრე ღირებულებაა. მოლოდინი, რომ ადამიანი შეტაკებაში თავის ღირსებას დაიცავს მოცემული ღირებულების შესაბამისი ნორმაა.

ნორმა შეიძლება ქცევის სტანდარტი იყოს. მაგრამ რატომ ემორჩილებიან მათ ადამიანები, როდესაც ისინი არც კი შეესაბამებიან მათ ინტერესებს? გამოცდის დროს სტუდენტს შეუძლია პასუხი სხვისაგან გადაიწეროს, მაგრამ ცუდი შეფასების ეშინია. ეს არის ერთ-ერთი პოტენციურად შემაკავებელი ფაქტორი. სოციალური წახალისება (მაგალითად, პატივისცემა) სტიმულს ანიჭებს ნორმების დაცვას, რომელიც სტუდენტისაგან წესიერებას მოითხოვს. ნორმის დაცვის ხელშემწყობი სოციალური დასჯა ან წახალისება სანქციად იწოდება. სასჯელი, რომელიც აიძულებს ადამიანებს რაღაც ქმედებებისაგან თავი შეიკავონ ნეგატიურ სანქციად იწოდება. მათ განეკუთვნება ჯარიმა, საყვედური, ციხეში ჯდომა და ა.შ. პოზიტიური სანქციები (მაგალითად, ფულადი ჯილდო, ძალაუფლების მინიჭება, მაღალი პრესტიჟი) ნორმების დაცვით დამსახურებულ წახალისებას ეწოდება. ნორმებს, სანქციებსა და ქცევებს შორის ურთიერთკავშირს დეტალურად მე-7-ე თავში შევხებით. სანქციები ნორმების საფუძველზე ლეგიტიმურობას (კანონიერებას) იძენენ. მაგალითად, ბავშვი სვამს კითხვას: რატომ დასაჯეს დამნაშავე? პასუხად, სასჯელის სისწორის გამართლება ჩვენ შეგვიძლია ნორმის თვალსაზრისით:



„იმიტომ, რომ მან დაარღვია კანონი“. თუ ბავშვი კვლავ შეგვეკითხება, თუ „რატომ არ შეიძლება

კანონის დარღვევა?“ ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ ღირებულებებს: „ჩვენთვის უმჯობესია თუ ადამიანები დაიცავენ კანონებს“. ხოლო კითხვაზე: „რატომაა ასე უმჯობესი?“ ბავშვს უნდა მივცეთ ცოდნა გარე სამყაროს შესახებ და ვუთხრათ, რომ : „ღმერთს უნდა, რომ ჩვენ ვიყოთ კარგები“ ან

„ადამიანები უნდა შეეცადონ ქონდეთ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა“. სანქციები, ნორმები, ღირებულებები და რეალური ცოდნა ქმნიან სოციალური რეგულაციის სისტემას, რომელშიც ყოველი შემდგომი ელემენტი წინასთან შედარებით უფრო ზოგადი ხასიათისაა და შეიძლება მის დასაფუძნებლად იქნას გამოყენებული.

ენის განსაკუთრებული ადგილი.

კულტურის თეორიებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ენას. კულტურის ბევრი სფერო არავერბალურია – ფერწერა, ქორეოგრაფია, ჟესტები და სხვ. მაგრამ კულტურის ყველა ელემენტი, რომლებზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, შეიძლება ენაში გამოისახოს.

ენა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბგერებით(ხმებით) და სიმბოლოებით განხორციელებული კომუნიკაციის სისტემა, რომელთა მნიშვნელობა პირობითია, მაგრამ გარკვეული სტრუქტურა აქვთ.

ენა სოციალური მოვლენაა. სოციალური ურთიერთქმედების გარეშე ენის დაუფლება, ანუ, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. თუმცა სოციალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანწილად ჟესტების იმიტაციას – თავის დაქნევა, ღიმილის ან ჭმუხვნის მანერა, - ეფუძნება – ენა კულტურის გადაცემის ძირითადი საშუალებაა. მისი მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ მშობლიური ენის დავიწყება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ მისი ძირითადი სიტყვიერი მარაგი, მეტყველების წესები და სტრუქტურა 8-10 წლის ასაკამდეა ათვისებული, თუმცა ადამიანური გამოცდილების სხვა ასპექტები შეიძლება სავსებით მიეცეს დავიწყებას. ეს ადამიანის მოთხოვნილებებისადმი ენის შეგუებადობის უმაღლესი უნარის არსებობას მოწმობს; მის გარეშე ადამიანებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად პრიმიტიული იქნებოდა.

ენა გულისხმობს წესებს. თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, რომ არსებობს სწორი და არასწორი მეტყველება. ენაში მრავლადაა ფორმალური და ნაგულისხმევი წესები, რომლებიც საჭირო აზრისათვის გამოსათქმელი სიტყვების თანმიმდევრობას



განსაზღვრავენ. გრამატიკა არის ზოგადად მიღებული წესების სისტემა, რომლის საფუძველზე გამოიყენება და ვითარდება სტანდარტული ენა. ამავე დროს, ხშირად შეიმჩნევა გადახრები გრამატიკული წესებიდან, რაც ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, სხვადასხვა დიალექტების თავისებურებებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ახალგაზრდა ნიუ-იორკელი პოკერის თამაშის დროს ალბათ ასე იტყვის: „ბიჭებო, როცა დაითესებით, სინათლე არ დატოვოთ“. მაგრამ ჩანაწერი, რომელსაც დატოვებდა ოფისიდან გამოსვლისას დაახლოებით ასეთი იქნებოდა: „წასვლის წინ გთხოვთ განათება გამორთოთ.“

ენა აგრეთვე ადამიანების მიერ გამოცდილების შეძენისა და ორგანიზების პროცესში მონაწილეობს. ანთროპოლოგმა ბენჟამინ ლი უორფმა (1940) აჩვენა, რომ მრავალი ცნება „თავისთავად ცხადად“ მხოლოდ იმიტომ მიგვაჩნია, რომ მათ ადგილი დაიდეს ჩვენს ენაში. „ენა ბუნებას ნაწილებად ყოფს, აყალიბებს ცნებებს მათ შესახებ და ანიჭებს მათ ასეთ მნიშვნელობას იმიტომ, რომ ჩვენ დავეთანხმეთ ამაში ერთმანეთს. ეს თანხმობა . . . კოდირებულია ჩვენი ენის მოდელებში“(გვ.23). ეს განსაკუთრებით ცხადად ენების შედარებითი ანალიზის დროს ვლინდება. ჩვენ უკვე ვიცით რომ ფერები და ნათესაური

კავშირები სხვადასხვა ენებში სხვადასხვანაირად აღინიშნება. ზოგჯერ ერთ ენაში ისეთი სიტყვა გვაქვს, როგორც მეორეში სულაც არ გვხვდება. სიტყვა უნივერსიტეტი გამოიყენება ყველა ინგლისურენოვან ქვეყნებში. მაგრამ წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრთ ეს სიტყვა არა აქვთ, ამიტომ გაგვიჭირდებოდათ მათთვის ამის ახსნა: „ეს არის ადგილი სადაც მოდიან 18 წლის ადამიანები რათა ძნელი რაღაცეები შეისწავლონ“. ჯერ კიდევ საკითხავია გაიგებენ თუ არა ასეთ ახსნას.

ენის ხმარებისას მისი ძირითადი გრამატიკული წესები უნდა იქნას დაცული. ენა ადამიანის გამოცდილებას ორგანიზაციას უკეთებს. ამიტომ, როგორც ყოველი კულტურა ზოგადად, ენაც ზოგადმიღებულ მნიშვნელობებს შეიმუშავებს. კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ისეთი მნიშვნელობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მიიღება, გამოიყენება და მონაწილეთათვის გასაგებია. მართლაც, ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობები შესაძლებელია, რადგან გვჯერა რომ ჩვენ ერთმანეთის გვესმის:

„თქვენთვის ხომ გასაგებია, თუ რა მაქვს მე მხედველობაში“; „მომეცით უფლება და მე აგიხსნით თქვენ. . .“. გონებრივი აშლილობის, როგორცაა შიზოფრენია, ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფებს უკვე აღარ შეუძლიათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და მოწყვეტილი არიან საზოგადოებას.

საერთო ენა ასევე აძლიერებს საზოგადოების მთლიანობას. ის ადამიანებს თავიანთი ქმედებების კოორდინირებაში ეხმარება. გარდა ამისა, ადამიანებს შორის, რომლებიც ერთ ენაზე საუბრობენ, ურთიერთგაგება და თანაგრძნობა თითქმის ავტომატურად იჩენს თავს. ენაში საზოგადოებაში ჩამოყალიბებული საერთო ტრადიციების, მიმდინარე მოვლენების



შესახებ ადამიანების ცოდნა აისახება. მოკლედ, ის ჯგუფური ერთობის, ჯგუფური იდენტურობის გრძნობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. იმ განვითარებადი ქვეყნების მმართველები, სადაც ტომობრივი დიალექტები არსებობს (საჰარის სამხრეთით აფრიკის ტერიტორია) ერთიანი ეროვნული ენის მისაღებად მიისწრაფიან, რათა გავრცელდეს იმ ჯგუფებზეც სადაც ამ ენაზე არ საუბრობენ, რადგან იციან რა ამ ფაქტორის როლი ერის კონსოლიდაციის საქმეში, ტომობრივ განცალკევებულობას ებრძვიან.

თუმცა ენა ძლიერი გამაერთიანებელი ძალაა, ამავე დროს მას ადამიანების დაშორიშორებაც შეუძლია. ჯგუფი, რომელიც მოცემულ ენაზე საუბრობს ყველა ამ ენაზე მოლაპარაკეს თავისიანად თვლის, სხვა ენაზე და დიალექტზე მოლაპარაკეს სხვად. ამერიკულ საზოგადოებაში დიალექტი ხშირად დაცინვის საგანია – ხშირად გვესმის როგორ დასცინიან ერთმანეთს ბრუკლინელები და ბოსტონელები. ერის შიგნით ლინგვისტიკური ქვეჯგუფების არსებობა შეიძლება ხანგრძლივი და ღრმა დაპირისპირების საფუძველი (მშვენიერი გამონაკლისია შვეიცარია) გახდეს. ენა – კანადაში მცხოვრები ინგლისელებისა და ფრანგების ანტაგონიზმის ძირითადი სიმბოლოა. ორ ენაზე (ინგლისურსა და ესპანურზე) სწავლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის ბრძოლა აშშ ზოგიერთ რეგიონებში მოწმობს, რომ ენა შეიძლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა გახდეს. ამას წინათ კიდევ ქონდა ადგილი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კონფლიქტს. კალიფორნიაში 1986 წლის საყოველთაო არჩევნებზე ამომრჩევლებმა ჩაატარეს რეფერენდუმი მოთხოვნით „მხოლოდ ინგლისურად“; ამ ღონისძიების შედეგად ინგლისური ენა აღიარეს ოფიციალურ სახელმწიფო ენად! ამ კომპანიამ გამოიწვია პროტესტები და კონფლიქტები კალიფორნიის ეთნიკურ ჯგუფებს შორის. რა თქმა უნდა, ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა,

სასამართლოებში გრძელდება საჩივრების შეტანა ამ გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურად ჩათვლის მოთხოვნით.

იდეოლოგია.

ამერიკელებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი იდეოლოგიური მრწამსი თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის აღიარებაში მდგომარეობს. ამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველ წევრს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია. ამგვარ განწყობას შეესაბამება რწმენა, რომ ყოველი ადამიანი გაჩენიდან თანაბარუფლებიანია და ყოველ ადამიანს, თუ არის ამის შესაძლებლობა, შეუძლია ნებისმიერი არასასურველი პირობები დასძლიოს. ეს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათლადაა ფორმულირებული. მაშ ასე, ღირებულებებისა და ფაქტების შესახებ დებულებათა სისტემას იდეოლოგიას ვუწოდებთ.



ზემოთ მოყვანილ მაგალითებთან შედარებით, იდეოლოგია უფრო ღრმა შინაარსის დებულებებს შეიცავს. გუნარ მირდალის (1944) აშშ რასობრივი ურთიერთობების კლასიკურმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ ამერიკელები, რომლებიც თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის სამართლიანობას აღიარებენ, ხშირად ავლენენ რასისტულ განწყობას და თანაბარი შესაძლებლობების აუცილებლობას ზანგებისათვის უარყოფენ. ეს წინააღმდეგობა იმით აიხსნება, რომ ზანგები არასრულფასოვან ადამიანებად მიაჩნიათ: თუ ზანგები არასრულფასოვანი ადამიანებია რა საჭიროა მათთვის თანაბარი უფლებების მინიჭება.

იდეოლოგიის როლი სოციალური დამაბულობის შერბილებაში.

იდეოლოგია რიგ ფუნქციებს ასრულებს. ერთ – ერთია – სოციალური დამაბულობის შესუსტება, რომელიც მაშინ იჩენს თავს, როდესაც ადამიანები აცნობიერებენ, რომ მათი ცხოვრების რეალური პირობები აღიარებული ღირებულებებისაგან მკვეთრად განსხვავდება.

მირდალი, მაგალითად, თვლის, რომ იდეოლოგია თანაბარი შესაძლებლობების იდეასა და რეალობას შორის წინააღმდეგობას, რომელშიც ზანგები იმყოფებიან, ბურუსში ახვევს. ამ შემთხვევაში, იდეოლოგიის ძირითადი ფუნქციაა იმ სოციალური დამაბულობის შესუსტება, რომელსაც თეთრებიცა და ზანგებიც ერთდროულად გრძნობენ; ეს გამოწვეულია იმით, რომ იდეალი არ შეესაბამება სინამდვილეს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და სადაც სურთ მათი ინტერესების შესაბამისი პირობები იპოვონ.

იდეოლოგიის როლი ჯგუფური ინტერესების გამოხატვაში.

იდეოლოგია ასევე გამოხატავს ან იცავს ჯგუფის ინტერესებს. იდეოლოგიის ეს ფუნქცია დაკავშირებულია მარქსის მოძღვრებასთან. მარქსი გამოყოფს ორი ტიპის იდეოლოგიას: კონსერვატიულს, რომელიც იცავს სტატუს-ქვოს და ლიბერალურს ანუ რადიკალურს, რომელიც საპირისპირო ტენდენციას გამოხატავს.

რეინჰარდ ბენდიქსმა (1956) გამოიკვლია მმართველი კლასების იდეოლოგია ოთხ სამრეწველო ქვეყანაში: XVIII და XIX საუკუნეების დიდ ბრიტანეთსა და რუსეთში, აგრეთვე XX საუკუნის დასაწყისში აშშ-სა და აღმოსავლეთ გერმანიაში.

მან აღნიშნა, რომ მმართველი კლასები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი იდეოლოგია, რომელიც გაამართლებდა მათ ძალაუფლებას მშრომელებზე და ამით მართვის პროცესს შეუმსუბუქებდა. როგორც ბენდიქსი თვლის, ის იდეოლოგიაც კი, რომელიც თავს „ადამიანურ ურთიერთობებზე“ დებს: აქვს მეგობრული ურთიერთობა



მუშებთან, ითვალისწინებს მათ საჩივრებს, უუმჯობესებს შრომის პირობებს - არსებითად ავლენს ფარულ მისწრაფებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდის და მათზე საკუთარი ძალაუფლების გაძლიერების მიზნით, მათი მხარდაჭერა დაიმსახუროს. თუმცა ასეთი კონსერვატიული, ან „მმართველი“ იდეოლოგია საზოგადოების გავლენიან ფენებს იცავს, მაგრამ ის არ არის უცვლელი. იდეოლოგიების უმრავლესობა გამოირჩევა მოქნილობით, ახალ საზოგადოებრივ სიტუაციებს ადვილად ეგუება. ანალიზებდა რა დიდი სამრეწველო დაწესებულებების ხელმძღვანელების სიტყვებს, ჰეილბრონერი XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები მრეწველების ამბიციურობას თანამედროვე წამყვანი მრეწველების ზომიერ პოზიციებს ერთმანეთს ადარებს და უპირისპირებს. თანამედროვე ხელმძღვანელები ხაზს უსვამენ, რომ

„კაპიტალიზმი შეესაბამება საზოგადოების სოციალურ მოთხოვნებს“, ისინი აღიარებენ ეკონომიკური მოღვაწეობის ფართომაშტაბიანი ორგანიზების მნიშვნელობას, ხაზს უსვამენ „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს“, ადგენენ ახალ კანონებს შრომასა და მთავრობების შესახებ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იდეოლოგიას შეუძლია საზოგადოებაში ძალთა პროპორციების ცვალებადობას შეეგუოს.

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი იდეოლოგია არსებულ სტატუს-ქვოს უპირისპირდება. 50-60 წლებში მოქალაქეთა უფლებებისათვის მოძრაობის აქტივისტები უარყოფდნენ იდეას, რომ ზანგები თეთრებზე პრიმიტიულები არიან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყოველი ადამიანი იბადება თანაბარუფლებიანად და უნდა ქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ სინამდვილეში ზანგები მოკლებული არიან თეთრების შესაძლებლობებს. ლიბერალური იდეოლოგია აისახება შრომით კამათში. პროფკავშირები ხშირად აცხადებენ თავიანთ მისწრაფებებს უფრო სამართლიანად განაწილდეს შემოსავალი და სხვა სიკეთე. ისინი ასევე აყენებენ მოთხოვნებს შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ და ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ გამოდიან.

კონფლიქტებსა და ცვლილებებთან დაკავშირებულ სიტუაციებში ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის მიდის: ერთ-ერთი ცდილობს დაიცვას, მეორე კი დაანგრის არსებული სტატუს-ქვო – მემარცხენეები გამოდიან მემარჯვენეების წინააღმდეგ, კოლონიების მკვიდრნი – კოლონიზატორთა წინააღმდეგ, პროფკავშირები – ადმინისტრაციის წინააღმდეგ. თუ იმარჯვებს ჩაგრულთა ჯგუფი, მისი იდეოლოგია ახალ სოციალურ წყობას იცავს. მაგალითად, სსრკ-ში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიზმი სწრაფად შეიცვალა. იდეოლოგიიდან, რომელიც მოითხოვდა ძველი წყობის დანგრევას, ის ახალი წყობის მხარდამჭერ საშუალებად გადაიქცა. ბევრი ანტიკოლონიური იდეოლოგია დაახლოებით ასევე შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც კოლონიებმა დამოუკიდებლობას მიაღწიეს.



იდეოლოგია, როგორც საზრისის წყარო.

კლიფორდ გირცი აღნიშნავს იდეოლოგიის კიდევ ერთ ფუნქციას – ის ადამიანთა ქმედებებს აზრს ანიჭებს.

ბოლო დროს სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ სამუშაოსა და უმაღლეს სკოლებში მიღებისას ქალთა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაცია შეწყდეს.

მოითხოვენ ამ დავალების შესრულების ანგარიშებს, განსაზღვრავენ მიღების ქვოტებს, შეუსრულებლობის შემთხვევაში იმუქრებიან ფონდების დახურვით. როგორ უნდა აიხსნას ეს პოლიტიკა? ის გაპირობებულია მათი იდეოლოგიური პოზიციით ან არის სამთავრობო ორგანიზაციებზე ზეწოლის შედეგი. ეს პოზიცია მოითხოვს სამართლიანობას დისკრიმინირებული ჯგუფების მიმართ.

ზოგჯერ კოლეჯის ან უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ მიდის დათმობაზე, აცხადებს, რომ არაა კვალიფიცირებული ქალების საკმარისი რაოდენობა და ვერც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ითვისებენ ქვოტებს. როგორ აიხსნება მათი განცხადებები? ეს ასევე დაკავშირებულია მათ იდეოლოგიურ პოზიციასთან, რომელიც უმაღლესი სკოლის საქმიანობის მაღალი დონის შენარჩუნებას მოითხოვს. სხვადასხვა იდეოლოგიური პრიორიტეტებიდან გამომდინარე ორივე ჯგუფი შექმნილ სიტუაციას განსხვავებულად აფასებს. ჩვენ არ შევუდგებით ორივე იდეოლოგიური პოზიციის ღირსებებისა და სუსტი მხარეების ანალიზს, ახლა უფრო საინტერესოა თუ როგორ მოქმედებენ ისინი და რა აზრს დებენ თავიანთ მოთხოვნებში. პოლიტიკური ბრძოლა ხშირად, უპირველეს ყოვლისა, იმის გარკვევაში მდგომარეობს თუ კონკურენტული იდეოლოგიებიდან რომელი ჩაითვალოს უფრო მნიშვნელოვნად და სამართლიანად.

კულტურის ერთიანობა და მრავალსახეობა.

XIX საუკუნის დასასრულის ანთროპოლოგები კულტურას „პატარ-პატარა ნაჭრებისაგან“ შემდგარ დიდ კოლექციას ადარებდნენ, რომელთაც ერთმანეთთან განსაკუთრებული კავშირები არ გააჩნდათ და ერთად შემთხვევის წყალობით მოხვდნენ. ბენედიქტი (1934) და XX საუკუნის სხვა ანთროპოლოგები ამტკიცებენ, რომ ერთი და იგივე კულტურის სხვადასხვა მოდელების ფორმირება ერთიანი პრინციპების საფუძველზე ხორციელდება. მაგალითად, ფეოდალური საზოგადოების ზოგადი პრინციპია - „იერარქიაზე დაფუძნებული წესრიგი“.



ჭემმარიტება ალბათ, სადღაც შუაშია. კულტურებს მართლაც ახასიათებს ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, მაგრამ ამით არ ამოიწურება არც ერთი მათგანი, არის კიდევ მრავალსახეობა და კონფლიქტები. ამას ქვემოთ დავასაბუთებთ.

მეცნიერების თემა ამერიკულ კულტურაში.

მეცნიერებას ხშირად მიიჩნევენ ამერიკული კულტურის მთავარ თემად. ეს თემა ამერიკელთა კიდევ ერთ ღირებულებასთან - ბუნების აქტიური ათვისებისაკენ მისწრაფებასთანაა დაკავშირებული. ჰარვი ბრუკსის აზრით (1975), მეცნიერების თემა ამერიკული ლიტერატურის მრავალ ნაწარმოებებში, ხელოვნებაში აისახა, მას ამერიკის ისტორიასა და პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

„მეცნიერების“ ცნების ქვეშ ბრუკსს მხედველობაში ობიექტური გამოკვლევები, ნათლად ჩამოყალიბებული ამოცანების გადაჭრაში სისტემური მეთოდების გამოყენება და პრაქტიკული საქმიანობის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის თანამედროვე ფიზიკოსების აბსტრაქტულ შეხედულებებს სამყაროზე და თანამედროვე ხელოვნებისა და პოეზიის აბსტრაქტულ ფორმებს ერთმანეთს ადარებს. ფარდობითობის თეორიამაც კი, აღნიშნავს ბრუკსი, იქონია გავლენა ამერიკულ კულტურაზე. „როგორც კი ფარდობითობის თეორიამ შეაღწია ფიზიკაში, ანთროპოლოგებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ადამიანური ადათ-წესებისა და ეთნიკური ნორმების ნაირსახეობებს; მათ დაასკვნეს, რომ ზნეობრივი პრინციპები განხილულ უნდა იქნან არა აბსოლუტური აზრით, არამედ

შეფარდებითი თვალსაზრისით, ე.ი. იმ კულტურასთან კავშირში, რომელშიც ისინი ჩამოყალიბდნენ”.

მეცნიერების თემამ ასევე შეაღწია მასობრივ კულტურაში. ამას მეცნიერული ფანტასტიკის პოპულარობა და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების, წიგნებისა და ტელეპროგრამებისადმი მასობრივი მკითხველის მზარდი ინტერესი მოწმობს.

კულტურული კონფლიქტი

ბრუკსი, როგორც ეტყობა კულტურის ერთობის დონეს ზედმეტად აფასებს. თანამედროვე საზოგადოებაში ხომ მნიშვნელოვანი ცვლილებებია.



კულტურასთან დაკავშირებით შეიძლება, როგორც მინიმუმი, სამი სახის კონფლიქტი გამოვყოთ:

ანომია, კულტურული შეყოვნება და უცხო გავლენა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ემილ დურკემი შემოიღებს „ანომიის“ ცნებას, რომელიც ნათლად ფორმულირებული სოციალური ნორმების არარსებობის გამო კულტურის ერთიანობის რღვევას აღნიშნავს. იმ პერიოდში ანომია სავაჭრო-სამრეწველო წრეების როლის ზრდის გამო რელიგიისა და პოლიტიკური გავლენის შესუსტებით იყო გამოწვეული. ამ ცვლილებებმა ადრე მტკიცე და მდგრადი ზნეობრივი ღირებულებების სისტემის რღვევა გამოიწვია. შემდგომ საზოგადოებათმცოდნეებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ დანაშაულობის, განქორწინებების სიხშირის ზრდის, სექსუალურ კავშირებში გაურკვევლობის მიზეზი კულტურის ერთიანობის რღვევა, განსაკუთრებით რელიგიური და ოჯახური ღირებულებების არამდგრადობაა.

XX საუკუნის დასაწყისში უილიამ ფილდინგ ოგბორნმა (1922) კულტურული შეყოვნების (დაგვიანების) ცნება შემოიღო. ეს შეყოვნება შეიმჩნევა, როდესაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არამატერიალური კულტურის (მრწამსი, ადათ-წესები, ფილოსოფიური სისტემები, მმართველობის კანონები და ფორმები) ტრანსფორმაციას წინ უსწრებს. ოგბორნს მიაჩნია, რომ ამას მატერიალური და არამატერიალური კულტურის განვითარების მუდმივ შეუსაბამობამდე მიყვებით და შედეგად უამრავ გადაუჭრელ სოციალურ პრობლემას ვღებულობთ. მაგალითად, პროგრესი ხე-ტყის დამუშავებაში ტყის უზარმაზარი მასივების გაჩანაგებას იწვევს. მაგრამ საზოგადოება ტყის მასივების შენარჩუნების აუცილებლობას თანდათანობით გააცნობიერებს. ზუსტად ასევე, თანამედროვე მანქანების შეღწევამ მრეწველობაში უბედური შემთხვევების სწრაფი ზრდა გამოიწვია. დიდი დრო დასჭირდა კანონმდებლობას საწარმოო ტრამპების საკომპენსაციო დადგენილებები მიეღო. კულტურული შეყოვნების თემას ჩვენ დაწვრილებითმე-20-ე თავში შევხებით.

კულტურული კონფლიქტის მესამე სახე გამოწვეულია უცხო კულტურის ბატონობით და ევროპული კოლონიების ინდუსტრიამდელ საზოგადოებებში შეიმჩნეოდა. ბ.კ.მალინოვსკის (1945) გამოკვლევების თანახმად უცხო კულტურის ელემენტების სიმრავლე ამ საზოგადოებებში ნაციონალური ინტეგრაციის პროცესს ამუხრუჭებდა. სამხრეთ აფრიკის საზოგადოების შესწავლის პროცესში მალინოვსკიმ ორ აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბებულ კულტურას შორის კონფლიქტი გამოავლინა. კოლონიზაციამდე ადგილობრივების სოციალური ცხოვრება აბსოლუტურად განუყოფელი



და მთლიანი იყო. საზოგადოების ტომობრივი ორგანიზაციის საფუძველზე ერთდროულად ჩამოყალიბდა ნათესაური კავშირების სისტემა, ეკონომიკური და

პოლიტიკური წყობა და ომის წარმოების ხერხებიც კი. კოლონიური სახელმწიფოების, პირველ რიგში დიდი ბრიტანეთის, კულტურასხვა პირობებში აღმოცენდა. მაგრამ, როდესაც ევროპული ღირებულებები ადგილობრივებს თავს მოახვიეს მოხდა არა ორი კულტურის გაერთიანება, არამედ მათი არაბუნებრივი, წინააღმდეგობრივი აღრევა. მალინოვსკის აზრით ეს ნაერთი არამდგრადი აღმოჩნდა. მან სწორად იწინასწარმეტყველა, რომ ამ ორ კულტურას შორის ადგილი ექნება ხანგრძლივ წინააღმდეგობასა და ბრძოლას, რომელიც არც მაშინ შეწყდება, როდესაც კოლონიები დამოუკიდებლობას მიაღწევენ. წინააღმდეგობას აფრიკელების თავიანთ კულტურაში მემკვიდრეობითი დამაბულობის ელემენტების დაძლევის მცდელობა შეინარჩუნებს.

ამგვარად, კულტურის მოდელი დაპირისპირებულ ტენდენციებს – გაერთიანებასა და განცალკევებას შორის მუდმივი ბრძოლის პროცესში ყალიბდება. ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით ამ თემას, როდესაც ამერიკულ კულტურასა და მის პერსპექტივებს შევხებით.

კულტურული ფორმების ნაირსახეობა

ევროპის უმრავლეს ქვეყნებში XX საუკუნის დასაწყისისათვის კულტურის ორი ფორმა ჩამოყალიბდა.

მაღალი კულტურა – დახვეწილი ხელოვნება, კლასიკური მუსიკა და ლიტერატურა – იქმნებოდა და აღიქმებოდა ელიტის მიერ.

სახალხო კულტურა – სადაც იგულისხმებოდა ზღაპრები, ფოლკლორი, მითები და სიმღერები ეკუთვნოდა ღარიბებს. ყოველი ამ კულტურების პროდუქტი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის იყო განკუთვნილი და ეს ტრადიცია იშვიათად ირღვეოდა. მასობრივი ინფორმაციის (რადიო, მასობრივი ნაბეჭდი გამოცემები, ტელევიზია, გრამფირფიტები, მაგნიტოფონები) საშუალებების გაჩენისთანავე ამ ორ კულტურას შორის არსებულმა სხვაობამ წაშლა დაიწყო. ასე გაჩნდა მასობრივი კულტურა, რომელიც არ არის დაკავშირებული რეგიონალურ, რელიგიურ ან კლასობრივ სუბკულტურებთან (Бауман, 1966). მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და მასობრივი კულტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.



კულტურა ხდება „მასობრივი“, როდესაც მისი პროდუქტი სტანდარტიზირებულია და საჯაროდ ვრცელდება. ამის მაგალითია ზემოთხსენებული „სიმღერა ველსელი გოგონას ტირილზე“. ლეო ლოუვენტალმა (1961) გამოთქვა აზრი, რომ მასობრივი კულტურა ზედაპირულია და სულიერად ვერ გაგამდიდრებს, როგორც მაღალი, რომელიც შემოქმედებით აღმაფრენასა და სიღრმისეულ აღქმას განასახიერებს. მას მიაჩნია, რომ მასობრივ კულტურას არ ძალუძს ჭეშმარიტი გრძნობების გამოღვიძება და ნაწილობრივ ამიტომ, რომ ამერიკულ საზოგადოებაში პიროვნების სრული რეალიზაციისათვის პირობები არ არის.

სუბკულტურები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მაუნუფიცირებელი გავლენა იმდენად ძლიერია, რომ აშშ თქვენ თითქმის ყველგან შეხვდებით გაგებას თუ საუბარს ჩიკაგოელ „დათვებზე“ და „რეფრიჟერატორზე“, ტომ კრუზზე ან კუზიანი ვეშაპის ჰემფრის თავდადასავალზე დაიწყებთ. მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ ვამტკიცოთ, რომ ჩვენი ნაციონალური კულტურა ერთგვაროვანია. ყველა საზოგადოებაში არსებობს ქვეჯგუფების დიდი რაოდენობა, რომელთაც განსხვავებული კულტურული ღირებულებები და ტრადიციები გააჩნიათ. საზოგადოების უმრავლესობისაგან განმასხვავებელ ნორმებისა და ღირებულებების სისტემას სუბკულტურა ეწოდება.

სუბკულტურა ისეთი ფაქტორების გავლენით ყალიბდება, როგორებიცაა სოციალური კლასი,

ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია და საცხოვრებელი ადგილი.

სუბკულტურის ღირებულებები ჯგუფის წევრების პიროვნულ ჩამოყალიბებას განაპირობებენ. ამიტომ ბოსტონში მცხოვრები იტალიელის პიროვნება და ქცევა, ასევე მისი ოჯახის და მეგობრებისა ელ-პასოში მცხოვრები ესპანელისაგან განსხვავდება. ეს განსხვავება სულაც არ ნიშნავს ნაციონალურ კულტურაზე უარს, აქ მხოლოდ მისგან გადახრა ვლინდება.

ზანგური დიალექტი. განსაკუთრებით საინტერესო გამოკვლევები სუბკულტურებზე ენის საკითხებს ეძღვნება. მაგალითად, უილიამ ლაბოვი (1970) ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ზანგების გეტოების მკვიდრი ბავშვების მიერ არასტანდარტული ინგლისური ენის გამოყენება მათ „ენობრივ არასრულფასოვნებას“ არ მოწმობს. ლაბოვი თვლის, რომ ზანგ ბავშვებს არ აკლიათ ურთიერთობის უნარი, როგორც თეთრებს, უბრალოდ ისინი გრამატიკული წესების რამდენადმე განსხვავებულ სისტემას იყენებენ: წლების განმავლობაში ეს წესები ზანგების სუბკულტურაში დამკვიდრდნენ.

ლაბოვმა აჩვენა, რომ შესაბამის სიტუაციებში თეთრი და შავი ბავშვები ერთსა და იმავეს ამბობენ, მხოლოდ სხვადასხვა სიტყვებით. ზანგ ბავშვს შეუძლია თქვას: „He don't knew



nothing ” („მან არაფერი არ იცის“). ეს ორმაგი უარყოფა არასწორია სტანდარტული ინგლისური ენის თვალსაზრისით. თეთრი ბავშვი ასე იტყოდა: „He doesn't know anything ” („მან არ იცის რაიმე“) ან „He knows nothing” („მან იცის არაფერი“). ის არ გამოიყენებდა ორმაგ უარყოფას. როგორც ლაბოვი ამტკიცებს, ამ განსხვავების მიზეზი არ არის ენის ცოდნის სისუსტე. ეს მეტყველების სხვა წესების გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად ამისა, არასტანდარტული ინგლისური ენის გამოყენება აუცილებლად იწვევს პრობლემას

- გაბრაზებული უმრავლესობის რეაქცია ე.წ. მიღებული კანონების დაუცველობაზე. პედაგოგები ზანგური დიალექტის გამოყენებას ინგლისური ენის წესების დარღვევად მიიჩნევენ. ამიტომ პატარა ზანგები არაკანონიერად ისჯებიან.

ლაბოვის სხვა გამოკვლევაში გაანალიზებულია სამხრეთის სოფლის მოსახლეობის ჩრდილოეთის ქალაქებში მიგრირებული ზანგების მეტყველება. სოფლად გავრცელებული ზოგიერთი სიტყვები (მაგალითად, tote - ატარო და like to - თითქმის), ქალაქებში იშვიათად გამოიყენება. მაგრამ სხვა ელემენტები, მაგალითად, ორმაგი უარყოფა „Ain't nobody see that” („ნუთუ ამას არავინ არ ხედავს“?), შენარჩუნებულია და ფართოდ ვრცელდება. ძველი და ახალი ენობრივი ფორმების საფუძველზე ჩამოყალიბდა ზანგური ქალაქური დიალექტი, რომელიც დიდ ქალაქებში ფართოდ გამოიყენება. ეს დიალექტი გავრცელებულია ბოსტონში, ნიუორკში, დეტროიტსა და ახალ ორლეანში (Ланов, 1972).

ენა და ქალები. რობინ ლაკოფმა (1976) გამოთქვა ვარაუდი, რომ სოციალიზაციის პროცესში გოგონებს ასწავლიან „ქალურად“, რბილ და არა „ბიჭურად“, უხეშად ლაპარაკს: „გოგონებს ჩააგონებენ, რომ ისინი უნდა იქცეოდნენ როგორც „პატარა ლედი“, რომელიც არ ყვირის ხმამაღლა, როგორც ბიჭები; გოგონებს უფრო მკაცრად სჯიან თუ ისინი ღიზიანდებიან ან ბრაზობენ. ვარაუდობენ, რომ „ყოყოჩობა“ ახასიათებს პატარა ბიჭებს, ამიტომ მათ აქვთ გაბრაზების ან გულის მოსვლის უფლება; „პატარა გოგონებისაგან“ კი ელიან დაჯერებასა და მორჩილებას. ჩვენ ვეგუებით მამაკაცის გაბრაზებას; ქალს ეს არ ეპატიება. ქალს არ უშლიან წუწუნს, ფორიაქს, მაგრამ გაბრაზების უფლება მხოლოდ მამაკაცს აქვს.

ლაკოფი ასევე ამტკიცებს, რომ ქალებისათვის უფრო ძნელად იმეტებენ კეთილ სიტყვებს, ვიდრე მამაკაცებისათვის. მიაქციეთ, ყურადღება, მაგალითად ორ წინადადებას „კაცი პროფესიონალია“ და

„ქალი პროფესიონალია“. პირველში იგულისხმება მამაკაცის სპეციალობის მაღალი დონე, ხოლო

მეორეში ყოფაქცევის ქვეტექსტი უფრო წინაა წამოწეული.



აღნიშნული სტერეოტიპები თანდათანობით ქრებიან, მაგრამ ქალებს უჭირთ ტრადიციული როლების მოცილება. ამიტომ ბოლო ხანებში ისინი მოითხოვენ, რომ ზეპირი თუ წერიტი პროცესებიდან ამოღებულ იქნას გამოთქმები, რომლებიც მათ მამაკაცებზე დაბლა აყენებს.

კონტრკულტურა და კონფლიქტი. ტერმინი „სუბკულტურა“ არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის ჯგუფი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში გაბატონებულ კულტურას. მაგრამ ბევრ შემთხვევაში საზოგადოების უმეტესობა ეჭვის თვალით უყურებს სუბკულტურას. ამ პრობლემამ შეიძლება თავი იჩინოს ექიმების ან სამხედროების მეტად პატივსაცემი სუბკულტურის მიმართაც კი. მაგრამ ზოგჯერ ჯგუფი აქტიურად ცდილობს შეიმუშავოს ნორმები და ღირებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაშია გაბატონებული კულტურის ძირითად ასპექტებთან. ასეთი ნორმებისა და ღირებულებების საფუძველზე ყალიბდება კონტრკულტურა. დასავლეთის საზოგადოებაში ცნობილი კონტრკულტურაა – ბოჰემა, ხოლო მისი ნათელი მაგალითია 60-იანი წლების ჰიპი.

როგორც ბერგერი, ჰეკეტი და მილლარი (1971) თვლიან, ჰიპის მოძრაობა ბოჰემური კონტრკულტურის მრავალ ელემენტს შეიცავს. მაგალითად, რწმენა იმისა, რომ ბავშვები საზოგადოებისაგან განცალკევებით შეიძლება აარიდო საზოგადოების ნაკლოვანი მხარეების გავლენას (იგულისხმება, რომ ადამიანი ბუნებით კეთილია და, რომ ნორმალურ სოციალურ გარემოში მას ძალუმს დაამყაროს ჰარმონიული წესრიგი). ბოჰემის სხვა ღირებულებებიდან აღსანიშნავია მისი წევრების სწრაფვა თვითგამოხატვისაკენ, სურვილი იცხოვრონ დღევანდელი დღით, სრული თავისუფლების მოთხოვნა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აღიარება და ეგზოტიკისადმი სიყვარული. ეს კი ნიშნავს გაბატონებული კულტურის ისეთი ღირებულებების უარყოფას, როგორებიცაა თვითდისციპლინა, მომავლის იმედით რაღაცეებზე უარის თქმა, მატერიალიზმი, წარმატებები ზოგადად მიღებული წესების დაცვით.

კონტრკულტურის ღირებულებები შეიძლება საზოგადოების ხანგრძლივი და გადაუჭრელი პრობლემების მიზეზად იქცნენ. მაგრამ ზოგჯერ ისინი თვით გაბატონებულ კულტურაში შეაღწევენ ხოლმე. გრძელი თმები, ნოვატორობა ენასა და ტანსაცმლის სფეროში, ჰიპისათვის დამახასიათებელმა ნარკოტიკების მოხმარებამ, ფართო გავრცელება ჰპოვეს ამერიკულ საზოგადოებაში, სადაც, ძირითადად მასმედიის საშუალებით, როგორც ხშირად ხდება, ეს ღირებულებები ნაკლებად გამღიზიანებლად გამოიყურებიან, ამიტომ ნაკლებად მისაღებია კონტრკულტურისათვის და, შესაბამისად, გაბატონებული კულტურისათვის ნაკლებად საშიშია.



როგორ იცვლება ამერიკული კულტურა.

ამერიკული საზოგადოება ყოველთვის გამოირჩეოდა დინამიზმით. ამასთან არის დაკავშირებული ამერიკელთა მუდმივი შიში, რომ სოციალური ცვლილებები დაანგრევენ ზოგადმიღებულ ღირებულებებს. ბევრი ადამიანი გვაფრთხილებს, რომ პროგრესი, ბარაქა და სოციალური დაძაბულობა დამანგრეველად იმოქმედებს ამერიკულ კულტურაზე.

ამერიკული კულტურის ტრადიციული ღირებულებები.

როგორია ამერიკული კულტურის ტრადიციული ღირებულებები? 1960 წელს რობინ უილიამსმა მონდომებით ჩამოთვალა ამერიკელთა მთავარი ღირებულებები. მათ შორის იყო შემდეგი.

1. პიროვნული წარმატება. ამ ღირებულების არსს გამოხატავს ლეგენდა იმის შესახებ თუ, „როგორ უნდა დააღწიო თავი სიღარიბეს და გამდიდრდე“, როგორ მოხვდე „ქოხიდან პრეზიდენტის სასახლეში“.
2. აქტიურობა და თავდადებული შრომა. ამერიკელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ დროის რაციონალურად გამოყენებას. როგორც წესი, ეჭვით უყურებენ იმას, ვინც „არ იღწვის“ და „ფლანგავს დროს“.
3. ეფექტურობა და სარგებლიანობა. ამერიკელები, ჩვეულებრივ, მაღალ შეფასებას აძლევენ ადამიანებს, რომლებიც სწრაფად და კარგად ასრულებენ თავის სამუშაოს; ისინი ცდილობენ შეიძინონ ნივთები, რომლებიც დიდხანს და კარგად მოემსახურებათ; ამერიკელები მუდმივად ცდილობენ ყველაფრის გაუმჯობესებას, სათაგურისაც კი; ახალ იდეებსა და გამოგონებებს მხოლოდ პრაქტიკული შემოწმების მერე მიიღებენ.
4. პროგრესი. ამერიკელებს სჯერათ, რომ ახალი ჯობს ძველს. ისინი ოპტიმიზმით უყურებენ მომავალს.
5. ნივთები, როგორც ნიშანი კეთილდღეობისა. უამრავი ჟურნალი და ტელეგადაცემები რეკლამას უკეთებენ სახლებს, დიდ ავტომობილებს და მატერიალური კეთილდღეობის სხვა მაჩვენებლებს. ისინი ფუფუნებისაკენ ამერიკელთა მისწრაფებას ავლენენ.
6. მეცნიერების პატივისცემა. ამერიკელები მეცნიერებებისაგან ტექნოლოგიური, სამედიცინო და თვით სოციალური პრობლემების გადაჭრას მოელიან.

კულტურული ძვრები ამერიკაში.



განიცდიან თუ არა ცვლილებებს ტრადიციული ღირებულებები? იქნებ ისინი თანდათანობით ირღვევიან? პატიოსნად უნდა ვაღიაროთ: ჩვენ არ ვიცით. ძნელია ღირებულებების გაზომვა, და, როგორც ეტყობა, მათი ცვლილებების პროცესი არაერთგვაროვანია, წინააღმდეგობრივია და მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით. შედარებით ღრმა გამოკვლევები ამ თემაზე ჩაატარა დევიდ რისმანმა, ნათან გჯეიზერმა, რუელ დენიმ (1950) და დენიელ ბელმა (1975). რისმანისა და მისი კოლეგების შეხედულებების თანახმად, რომლებმაც ამერიკელებს „მარტოხელა ბრბო“ დაარქვეს, XX საუკუნის შუახანებში ამერიკაში შეიმჩნეოდა ტრადიციული „შინაგანი პრინციპების“ (თვითკონტროლი, პურიტანული ცნობიერება, მოვალეობის შეგრძნება) შესუსტება და უპირატესობა „სხვა მიმართულებით“ – სწრაფი წარმატების, მაღალი პრესტიჟისაკენ სწრაფვას მიენიჭა. შესაბამისად ინტერესი სიმდიდრისადმი, მატერიალური კეთილდღეობისადმი და არა შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი გაიზარდა.

ბელი შეეცადა ეს ცვალებად სამყაროში საკუთარი თავის დაკარგვის შიშით გამოწვეული ეგოცენტრიზმის ზრდით (საკუთარ ინდივიდუალურ „მე“-ზე დაცვიკლული თაობა) აეხსნა და ახალ პრობლემას წააწყდა. წინათ ცხოვრების ბევრი ძირითადი ასპექტი (შრომა, თამაში, განათლება, ზრუნვა ჯანმრთელობაზე) ოჯახში წყდებოდა. შემდეგ მათი რეგულირება ისეთმა ინსტიტუტებმა დაიწყო,

როგორებიცაა სკოლა, პროფკავშირი, კლუბი და მთავრობა. მაგრამ, რადგან ეს ინსტიტუტები ვერ ეხმარებიან პიროვნებას „იპოვოს „მე“, ის თავის შიდასამყაროში ჩაღრმავდა.

ალბათ, ზოგიერთი ღირებულებების ცვალებადობა ციკლური ხასიათისაა. პერიოდს, როდესაც ტრადიციული ღირებულებები ზოგადმიღებულია შეიძლება მოყვეს დრო, როდესაც ეს ღირებულებები ეჭვს იწვევს. მაგალითად, 20-იან წლები, როდესაც მთავარ ღირებულებად საქმეში წარმატების მიღწევა ითვლებოდა, 50-იან წლები, როდესაც გაიზარდა სწრაფვა ეკონომიკური აყვავებისაკენ და 70-იანი წლები მისი კონსერვატული ტენდენციებით, შეიძლება ზოგადმიღებული ტრადიციული ღირებულებების პერიოდებად ჩაითვალოს. 30-იანი წლები, კაპიტალისტური ღირებულებების კრიტიკისა და 60-იანი წლები, წარმატების მიღწევის ჩვეულებრივი გზების გაკიცხვის ტენდენციით, შეიძლება ტრადიციულ ღირებულებებში დაეჭვების პერიოდებად ჩაითვალოს. (ძნელია 80-იანი წლების დახასიათება, სადაც ერთმანეთში იყო არეული წინა წლების ტენდენციები). რადგან ღირებულებები და ზოგადი განწყობა მუდმივცვალებადია, ძნელია იწინასწარმეტყველო, რა ცვლილებები იქნება მომავალში.

ამერიკული ღირებულებები მომავალში.



მაგრამ გვაქვს სრული საფუძველი იმედით შევხვდეთ ხვალინდელ დღეს. წარმატებისაკენ სწრაფვამ, ოპტიმიზმმა და თავდადებულმა შრომამ ღრმად გაიდგეს ფესვები ამერიკელთა ხასიათში და ეს ღირებულებები შენარჩუნებულ იქნება მომავალშიც. ისინი შეადგენენ ამერიკული ოცნების არსს. მაგრამ, ყველა ღირებულებები არ შეესაბამებიან სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს. ტექნიკურ პროგრესს მივყევართ გარემოს ნგრევისა და ბუნებრივი რესურსების გამოფიტვისაკენ. რესურსების უკმარობის პერსპექტივა, სხვა ფაქტორებთან, როგორებიცაა მრეწველობის შემცირება, კეთილდღეობის კლება, აწუხებს ამერიკელებს, რომელთათვის უცხოა პესიმიზმი და ფატალიზმი, ზოგიერთ სხვა ხალხებს რომ ახასიათებს. რამდენადაც ჩვენ მივეჩვიეთ ბარაქსა და პროგრესს, ჩვენ გაგვიჭირდება უარესი პირობებისადმი შეგუება.

ამ მიზეზების გამო მომავალში, შესაძლებელია დაიწყოს კამათი მათ შორის, ვინც ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს წარმატებისაკენ სწრაფვასა და მატერიალურ პროგრესს და ვინც ამ ღირებულებებს თვლის ვადაგასულად, გარემომცველი სამყაროს ნგრევისა, რესურსების გამოფიტვისა და მუდმივი ხელმოკლეობის პერსპექტივის გამო.

მოკლე შინაარსი.

1. კულტურა არის ცხოვრების ერთიანი წესით შეკრული ადამიანებისათვის საერთო ქცევის წესებისა და სამყაროზე შეხედულებების ღირებულებათა სისტემა. ცხოველთა ქცევა ძირითადად გაპირობებულია ინსტინქტებით ან გენეტიკურადაა დაპროგრამებული, მაშინ, როდესაც ადამიანთა ქცევები მნიშვნელოვანწილად შესწავლის რეზულტატია. ადამიანთა საზოგადოებაში კულტურა ასრულებს იგივე როლს, რასაც ცხოველთა სამყაროში ინსტინქტური ქცევა. კულტურა ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა სოციალიზაციის პროცესში.

2. კულტურას აქვს გავლენა პიროვნების ფორმირებაზე, ე.ი, ის არეგულირებს პიროვნების ქცევას.

გარდასხვა ფუნქციებისა, კულტურა განსაზღვრავს პირობებს სადაც შესაძლებელია მიდრეკილებების დაკმაყოფილება. ადამიანის ქცევაზე კულტურის გავლენის შემზღუდველი ფაქტორებია – ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიური შესაძლებლობების ზღვარი, გარემომცველი სინამდვილის პირობები და სოციალური წესრიგის მხარდაჭერა.

3. ზოგიერთმა მკვლევარმა, განსაკუთრებით მერდოკმა, მეტი ყურადღება კულტურულ უნივერსალიებს (თვისებებს, რომლებიც ყველა კულტურას ახასიათებს) მიაქცია. ხშირად მიაჩნიათ, რომ კულტურული უნივერსალიები გაპირობებულია ბიოლოგიური



ფაქტორებით, როგორებიცაა, ძუძუმწოვართა უსუსურობა, საკვების მოთხოვნილება და ა.შ. მაგრამ ადამიანის ქცევაზე მეტ გავლენას კულტურული ღირებულებები და ნორმები ახდენს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კულტურის სპეციფიკური ასპექტები ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს შეესაბამებიან.

4. ადამიანებს ახასიათებთ მიდრეკილება სხვისი კულტურის შეფასებაში დაეყრდნონ თავიანთ კულტურას, ამ ტენდენციას ეთნოცენტრიზმი ეწოდება. საპირისპირო ტენდენციას კულტურული რელატივიზმი ეწოდება, რომლის თვალსაზრისით ნებისმიერი კულტურა შეიძლება მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულებების ანალიზის საფუძველზე და მისი საკუთარ კონტექსტში იქნას გაგებული.

5. კულტურა ერთიანობის, ჯგუფის წევრების იდენტურობის, ერთი თანამეგობრობისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნებას იწვევს. კულტურა შეიძლება გახდეს ერთი ჯგუფის სხვადასხვა ქვეჯგუფებსა და პიროვნებებს შორის კონფლიქტის მიზეზი, თუ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შედარებით განსხვავებულ ნორმებს ემხრობა.

გუდენაუს აზრით კულტურა ოთხი ელემენტისაგან შედგება:

1. ცნებები, აღნიშნავენ ადამიანის გამოცდილების ორგანიზების წესს;
2. მიმართება ანუ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ადამიანთა გამოცდილების სხვადასხვა ასპექტები;
3. ღირებულებები ანუ ზოგადი შეხედულებები მიზნებზე, რომლისკენაც ადამიანები უნდა მიისწრაფოდნენ;
4. წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანების ქცევებს და მოყავთ ისინი მათი კულტურის ღირებულებებთან შესაბამისობაში. ინდივიდები იცავენ ნორმებს, ე.ი. ადამიანური ურთიერთობების მოლოდინი ან მოთხოვნები, რომლებიც სანქციებით არის გამაგრებული (მხედველობაშია სოციალური დასჯა ან წახალისება).
5. ენა არის ხმებისა და სიმბოლოების საფუძველზე განხორციელებული კომუნიკაციის სისტემა, რომელთაც პირობითი, მაგრამ მკაცრად სტრუქტურირებული მნიშვნელობა აქვთ. ენის დაუფლება შეუძლებელია სოციალური ურთიერქმედებების გარეშე; მას აქვს გარკვეული წესები; ის ქმნის და აწესრიგებს გამოცდილებას და ფუქციონირებს იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომელიც მიღებულია ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების მიერ.
6. იდეოლოგია არის გარკვეული ღირებულებებისა და ფაქტების დამფუძნებელი სისტემა.



7. იდეოლოგია ანხორციელებს მრავალ ფუნქციას. მაგალითად, ემსახურება სოციალური დაძაბულობის შენელებას, რომლებიც თავს იჩენენ მაშინ, როდესაც ადამიანები აღმოაჩენენ, რომ ზოგიერთი, მათ მიერ გაზიარებული ღირებულებები არ შეესატყვისებიან მათ რეალურ ცხოვრებას. იდეოლოგიებს შეუძლიათ აგრეთვე გამოხატონ ან დაიცვან რომელიმე სოციალური ჯგუფების ინტერესები. მარქსიზმის თვალსაზრისით იდეოლოგია ან ამართლებს რომელიმე ჯგუფის არსებობას ან იბრძვის მის წინააღმდეგ. იდეოლოგია ანიჭებს საზრისს და კანონიერებას ადამიანთა ქცევებს.

8. ერთიანობის გარკვეული ნიშნების გარდა კულტურებს შორის შესაძლებელი განსხვავებები და თავს იჩენენ კონფლიქტები. სოციოლოგებმა გამოავლინეს კულტურის კონფლიქტების რამოდენიმე სახე. ანომია ეწოდება სოციალური ნორმების ბუნდოვანი ხასიათის გამო კულტურის ერთიანობის რღვევას. კულტურული შეყოვნება შეიმჩნევა იმ შემთხვევებში, როდესაც

ცვლილებები მატერიალური კულტურის სფეროში წინ უსწრებენ არამატერიალური კულტურის შესაძლებლობებს შეინარჩუნონ შესაბამისობა მატერიალური კულტურის დონესთან. უცხო კულტურის ბატონობას მიყვევართ კულტურების შეჯახების ფორმით გამოვლენილი სხვადასხვა სტრუქტურის მქონე კონფლიქტებისაკენ.

9. მე XX საუკუნისათვის ჩამოყალიბდა კულტურის ორი ძირითადი ფორმა: მაღალი კულტურა, გულისხმობს დახვეწილ ხელოვნებას, კლასიკურ მუსიკას და ლიტერატურას, ის იქმნებოდა და აღიქმებოდა ელიტის წარმომადგენლების მიერ; უბრალო ხალხის კულტურას განეკუთვნებოდა ზღაპრები, ფოლკლორი, სიმღერები, მითები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებამ შექმნა მასობრივი კულტურის გაჩენის შესაძლებლობები, რომელიც ყურადღებას არ აქცევს რეგიონალურ, რელიგიურ ან კლასობრივ სუბკულტურებს.

10. ნორმებისა და ღირებულებების სისტემას, რომელიც განასხვავებს რომელიმე ჯგუფს უფრო ფართო ერთობისაგან, ეწოდება სუბკულტურა. სუბკულტურა არ უარყოფს უმრავლესობის კულტურას, მაგრამ გარკვეული სახით განზე დგას მისგან.

11. კონტრკულტურა არის სუბკულტურის ნაირსახეობა, რომელიც უპირისპირდება გაბატონებულ კულტურას. კონტრკულტურა მიისწრაფვის ჩამოაყალიბოს ნორმები და ღირებულებები, რომლებიც უპირისპირდებიან გაბატონებული კულტურის ძირითად ასპექტებს.

12. ტრადიციულ ამერიკულ ღირებულებებს შორის უნდა აღინიშნოს სწრაფვა პიროვნული წარმატებებისაკენ, აქტიურობა და თავდადებული შრომა, ეფექტურობა და



სარგებლიანობა, პროგრესი, მატერიალური კეთილდროება და მეცნიერების პატივისცემა. რისმანსა და მის კოლეგებს მიაჩნიათ, რომ ეს ღირებულებები ექვემდებარებიან ცვალებადობას, რომ ადამიანები სცილდებიან ტრადიციულ „შინაგან კულტურას“ და თანდათანობით შეიმუშავენ „გარეშე ღირებულებების“ სისტემას. ბელმა შეისწავლა ჩვენი საზოგადოების წევრებს შორის ეგოცენტროზმის ზრდა, რაც იმითაა გაპირობებული, რომ ცხოვრების მრავალი ასპექტი რეგულირდება ინსტიტუტების მიერ, რაც ვერ უზრუნველყოფს საკუთარი „მე“-ს დადგენას.

13. ამერიკელთა ზოგიერთი ღირებულებები წინააღმდეგობაში მოდიან ტექნოლოგიაში მიმდინარე

ცვლილებებთან, რესურსების გამოფიტვასთან, მრეწველობისა და ადამიანების კეთილდღეობის დონის კლებასთან. მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისეთი ღირებულებები, როგორცაა სწრაფვა წარმატებისაკენ, ოპტიმიზმი და თავდადებული შრომა, ღრმადაა გამჯდარი ამერიკულ კულტურაში.

მარგარეტ მიდი (1901 - 1978)

მარგარეტ მიდმა პოპულარობა მოიხვეჭა ანთროპოლოგიაში ნოვატორული გამოკვლევებით; მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში ზოგადად და კერძოდ ოჯახის სოციოლოგიაში. ის დაიბადა ფილადელფიაში, ოჯახში სადაც დიდი ყურედღება ეთმობოდა ინტელექტუალურ განვითარებას. თავიდანვე მან გამოავლინა მეცნიერული მონაცემების დეტალური შერჩევისა და აღრიცხვისადმი მიდრეკილება. 1924 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა ფსიქოლოგიის მაგისტრის წოდება, მაგრამ მალევე, თავისი ხელმძღვანელის, ფრანც ბოასის ზეწოლით გადაწყვიტა ანთროპოლოგი გამხდარიყო. მიდი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი მოწოდება, მეტიც, მისია არის – დაკარგული კულტურების დეტალური შესწავლა. განსაკუთრებულ ინტერესს

ავლენდა საველე გამოკვლევებისადმი. მონაწილეობდა მრავალ ექსპედიციაში, რამოდენიმე წლის ინტერვალებით კვლავ უბრუნდებოდა ერთსა და იმავე ადგილებს, სწავლობდა აზიის, წყნარ ოკეანეში სამოასა და ბალის კუნძულებისა ხალხებს, ასევე ახალი გვინეის მრავალრიცხოვან ტომებს. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით ცნობილია „სრულწლოვანობის მიღწევა სამოაზე“, „როგორ კაცებიან ახალი გვინეის მცხოვრებლები“, „სექსი და ტემპერამენტი სამ პრიმიტიულ საზოგადოებაში“. ყველა ეს წიგნები გამოქვეყნდა 20-იან და 30-იანი წლების დასაწყისში. ამ გამოკვლევებმა აჩვენა განსხვავებული ხალხების კულტურების სხვაობა და კულტურის გადამწყვეტი როლი სოციალური განწყობისა და ადამიანის ქცევის ფორმირებაში.



მიდი ძირითად ყურადღებას უთმობდა სიყმაწვილის, ბავშვების აღზრდისა და სექსუალური როლების პრობლემებს. ის იყო პირველი ანთროპოლოგი, რომელმაც სეისწავლა სხვადასხვა ხალხებში ბავშვების აღზრდის პრაქტიკა. ისი დოკუმენტური ფილმი „ბავშვების დაბანა სამ კულტურაში“ გახდა კლასიკა, აქ პირველად განიხილება სექსუალური როლი კროსკულტურულ პერსპექტივაში. მაგრამ, მისი ინტერესები ჩამოთვლილი პრობლემებით არ შემოიფარგლება: მის შრომებსა და ლექციებში განიხილებოდა შობადობისა და აბორტების კონტროლის საკითხები, განათლების, რასისა და ეთნიკური ჯგუფების, რელიგიის, სოციალური დაგეგმარების, დაბერებისა და სიკვდილის, ასევე ჭარბმოსახლეობის პრობლემები.

გადიოდა წლები და მიდი თანდათანობით გადაერთო ახალგზრდობასა და უფროს თაობას შორის განხეთქილების შესწავლაზე, რასაც ის ხედავდა ყველა მის მიერ გაანალიზებულ საზოგადოებებში. ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში - „კულტურა და მისი დანიშნულება“ - მან გამოიკვლია განხეთქილება თაობათა შორის და აჩვენა, რომ ბევრ საზოგადოებაში არსებობს ე.წ. პრეფიგურაციული (სავარაუდო იდეალის წინასწარი ჩამოყალიბება) კულტურა.

მისი არსი იმაში მდგომარეოს, რომ ბავშვები და უფროსები ცხოვრებას იმდენად განსხვავებულად აღიქვამენ, რომ ორივე ბევრ რამეს სწავლობენ ერთმანეთისაგან.

მიდმა დიდი წვლილი შეიტანა სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიის განვითარებაში. ის დიდ ყურადღებას უთმობდა შერჩევის მეთოდებსა და სავსელ გამოკვლევებს; მიდი იყო ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ანთროპოლოგი, რომელიც ინტერვიუსთან მიმართებაში უფრო ეფექტურად მიიჩნევდა და უპირატესობას ანიჭებდა ჩართულ დამკვირვებელს. 1944 წელს მან დააარსა შედარებითი კულტუროლოგიის ინსტიტუტი - ეს იყო არაკომერციული ორგანიზაცია, სადაც შეისწავლებოდა ქვეყნები, ჩვეულებები, ფსიქოლოგია და სოციალური ორგანიზაცია მსოფლიოს ყველა კულტურებში.

70-იანი წლების დასასრულისათვის მიდი თითქმის ლეგენდარული პიროვნება გახდა. ის იყო აშშ და სხვა ქვეყნების კოლეჯებისა და უნივერსიტეტების 28 საპატიო ხარისხის მფლობელი; მას მიენიჭა ბუნებრივი ისტორიის ამერიკული მუზეუმის (სადაც ის თავისი სამეცნიერო კარიერის განმავლობაში მუშაობდა) დამსახურებული კურატორის წოდება. თუმცა მიდის შეხედულებებს არცთუ იშვიათად აკრიტიკებდნენ მის სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ არ შეიძლება არ დაეთანხმო, რომ ის იყო ერთ-ერთი დიდი ამერიკელი ანთროპოლოგი.